გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2005 წელი.
№146 (5179)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბრძოლაა ხალხთა თავისუფლებისათვის, ... (ბოლი)

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ 64 წლის წინათ




## ... და ხვალ იყო ომი



რა ელოდა საქართველოს 64 წლის წინათ დაწყებულ ომში გერმანელი ფაშისტების გამარჯვების შემთხვევაში და რას უპირებდა ჰიტლერი ქართველობას და, საერთოდ, კავკასიელებს – „ამ სისხლის აღებით დაორსულებულ ხალხებს“...

იხ. მე-5 გვ.

## პრეზიდენტის რომელი ბრძანებულება უხსნის გზას საბიუჯეტო სახსრების ალურისხავ ხარჯვას?



დღეს ნებისმიერ არქიტექტურულ-სამშენებლო საკითხს წყვეტენ არა პროფესიონალები, არამედ შემთხვევითი პირები, რომელთაც არავითარი შეხება არ ჰქონიათ სამშენებლო საქმესთან. რატომ მოხდა ეს და რამ შეუწყო ამას ხელი?

იხ. მე-3 გვ.

◎ პრეზიდენტი

## შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში

21 ივნისს, საღამოს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში შეხვდა ახლად დანიშნულ მოსამართლეებს. ქვეყნის პირველმა პირმა შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა.

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვას ვრცლად გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

◎ ინფორმაცია

### დღეს ჯორჯ ბუშის ძმაც გვეწვევა

საქართველოში აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის შუათანა ძმა ნეილ ბუში ჩამოდის. ნეილ ბუში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

მისი ვიზიტი არაოფიციალურია, რის გამოც სახელმწიფო კანცელა-



რიის პროტოკოლის სამსახურში და საქართველოში ამერიკის საელჩოში ნეილ ბუშის ჩამოსვლის შესახებ არაფერი იციან.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ აშშ პრეზიდენტის ძმა თბილისში დღეს კერძო ბიზნესკომპანია „ტარინიკი კეპიტალ ექსფრეზერის“ დელეგაციას ჩამოჰყვება. დელეგაცია საქართველოში უკრაინიდან ჩამოდის, სადაც ნეილ ბუში ორი დღე იმყოფებოდა.

### მცირეწლოვანი ქართველი ბავშვები გაათავისუფლეს

ესპანეთში დაკავებული ორი მცირეწლოვანი ქართველი ბავშვი, მათ შორის ტარიელ ონიანის ქალიშვილი გვანცა ონიანი გაათავისუფლებულია.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის ინფორმაციით, 21 ივნისს, დილიდანვე დაიწყო ცნობილი სპეცოპერაციის დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესი.

საქართველოს ელჩს და კონსულს ესპანეთში აქტიური კონტაქ-



ტები აქვთ სამართალდამცავებთან და თვით მოსამართლესთანაც. ეს კი იმედს გვაძლევს, რომ რომელიმე ქართველი თავდებით მაინც გაათავისუფლონ, – ამბობს კახა სიხარულიძე.

### თინა ხიდაშელი ისნის რაიონში კენჭს იყრის

რესპუბლიკურმა პარტიამ შუალედური არჩევნებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის სავარაუდო კანდიდატები დაასახელა. ბათუმში კენჭს გიორგი მასალკინი იყრის, ხოლო თბილისის ისნის რაიონში – იურისტი თინა ხიდაშელი.

როგორც ფოთში პარტიის რაიონულ კონფერენციაზე მყოფმა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, აღნიშნული კანდიდატები ხელისუფლებისთვის „ცივი შხაპი იქნება“.

„ის, თუ ისინი გამარჯვებას ვერ მოიპოვებენ, იმის მანიშნებელი იქნება, რომ არჩევნები გაყალბდა“, – აცხადებს ბერძენიშვილი. მისივე აზრით, რესპუბლიკელთა კანდიდატებს მხარდაჭერას სხვა დემოკრატიული პოლიტიკური ძალებიც გამოუცხადებენ.

„მედია-ნიუსი“.

## რომელი იყო პირველი საზარელი ტყუილი ხალხთა მოდგმის ისტორიაში? რა არ იცოდა კაენმა და რა ვიცით ჩვენ? რას ნიშნავს ბლეფი კლასიკური გაგებით და როგორ ვლინდება იგი საქართველოს დღევანდელობაში?

სახელისუფლებო ბლეფი, როგორც წესი, მწარედ უბრუნდება თავად ხელისუფლებას და, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლების პირველ პირს – პრეზიდენტს. თუმცა არა გვგონია, იგი ავალებდეს მავანთ, ასე უსინდისოდ იცრუეთო. ალბათ თვით ეს მავანნი ცდილობენ მთლიანად ხელისუფლებისთვის და პირადად პრეზიდენტისთვის ხალხში სახელის გატეხას, ან არ იციან, რომ ბლეფი არის ძალიან მოკლეფეხება ტყუილი, რომელიც თამაშის (საკონკურსო კომისიის სხდომის) დამთავრებისთანავე მჟღავნდება, მაგრამ მაშინვე არ მთავრდება...



იხ. მე-3-4 გვ.

## ჩემოდანს მატარებელში რა უნდა, ჩემოდანი ტახტის ქვეშ ვიცი მე...

რა გულუბრყვილო იყო მაშინ ზურიკელა, ვაგონში ატეხილი ალიაქოთისას ამ სიტყვებით რომ ცდილობდა საკუთარი სიმართლისა და პოზიციის დამტკიცება-განმტკიცებას. მისი იმდროინდელი ლოგიკით, ავტოფარეხშიც, შინაურულად გარაჟად რომ მოვიხსენიებთ, დღეს მხოლოდ ავტომანქანა უნდა იდგეს, მაგრამ რა ხდება და კეთდება იქ ზოგჯერ სინამდვილეში?

იხ. მე-6 გვ.



◎ საზღვარგარეთ



გრეიფრუტის არომატი საშუალოდ ექვსი წლით მაინც აახალგაზრდავებს ქალებს მამაკაცთა თვალში, აცხადებს სურნელების მკვლევარი ალან ხირში. ამავე დროს, მამაკაცი, რომელიც გრეიფრუტის სურნელებას აფრქვევს, ქალებზე ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს.

* * *

2002 წელს ლვოვში ავიაშოუს დროს მომხდარი კატასტროფისას ადამიანთა დაღუპვის საქმის გამო განაჩენს სასამართლო ხვალ გა-



მოიტანს. მაშინ სუ-27-ის ჩამოვარდნამ 77 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ტრაგედიაში ბრალი დასდეს პილოტებს, რომლებმაც კატაპულტირება შეძლეს და გადარჩნენ.

* * *

იტალიის ქალაქ ბრენდოლის 61 წლის მკვიდრ ქალს სამი წლითა და ხუთი თვით პატიმრობა მიუსაჯეს ადგილობრივი მეწარმის გატაცების მცდელობისთვის. მაგრამ ქალმა ციხეში ჯდომას სიკვდილი ამჯობინა და მის წასაყვანად მოსული კარაბინერების თვალწინ, საკუთარ ბინაში თავი დაიწვა.

* * *

გუშინ ისრაელში სამგზავრო მატარებელი სატვირთო ავტომობილს შეეჯახა, რამაც სულ ცოტა სამოცი კაცი დააზარალა. შეჯახება მოხდა ქალაქებს ლოდსა და ქირიათ-გატს შორის.

◎ კომენტარი

## მაშინ ნახეთ ჟირინოვსკის გაცოფება

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, რუსეთისა და საქართველოს პარლამენტებმა უნდა რატიფიკაციაჰყონ სამხედრო ბაზების გაყვანაზე ის იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც საფუძვლად უდევს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება.



ეს პროცესი, ალბათ, გაართულებს სიტუაციას, დუმაში დაიწყება დებატები, მაგრამ თუ რუსეთის კონსტიტუცია ამ მოთხოვნებს ითვალისწინებს, მათ ეს პროცედურები უნდა გაიარონ, – აცხადებს მინისტრი.

მისივე თქმით, რუსეთისგან განსხვავებით, ქართული მხარე არ არის ვალდებული, რატიფიკაციაჰყოს ეს შეთანხმება, რადგან დოკუმენტი ქართული ჯარის საქართველოს ფარგლებს გარეთ განლაგებას არ ეხება.

◎ ერიჰა!

## თურქი ალაჰს მადლს სწირავდა, ქართველი კი თავბედს იწყევლიდა

*ახლახან მასმედიამ ერთი ინფორმაცია გაავრცელა: „მერსედესი“, რომელიც თურქეთის მოქალაქეს რამდენიმე წლის წინათ თურქეთშივე მოპარეს, საქართველოში იპოვეს, და მანქანის წასაყვანად მფლობელი საგანგებოდაც ჩამოიყვანეს. ენის ნიუზ-ოღლი ვიდეოკამერების წინ სიხარულს ვერ მალავდა და ალაჰს მადლობას სწირავდა. გამგზავრების წინ გზაც დაულოცეს. მართალია, ამ ზღაპრის ბოლო კეთილად დამთავრდა, მაგრამ რეალობა სულ სხვაა და მისი მოსმენის შემდეგ სიამაყისა რაღა მოგახსენოთ.*

ირკვევა, რომ ავტომანქანის კანონიერი მფლობელი საქართველოს მოქალაქე სულხან ხვედელიძეა. 2003 წლის 3 ოქტომბერს იმერეთის მხარის შს სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ხვედელიძის მანქანა მისივე მეგობარს ბუხნიკაშვილს ზესტაფონში წაართვეს. უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი მანქანის წართმევის ფაქტს ასე ხსნის: **„მანქანა საქართველოში შემოყვანილია საბაჟო წესის დარღვევით და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, საქართველოს შს სამინისტროს საგზაო პოლიციის რეგისტრაციის განყოფილების მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, სამსახურებრივი სიყალბის ჩადენით მოქალაქე ზვიად აბულაძის სახელზე მანქანა უკანონოდ არის გაფორმებული“.**

იხ. მე-2 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სერგეი ბაღაფში: „ჩვენ ვერ ვხედავთ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში, და, შესაბამისად, არც ვფიქრობთ ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე ამ სიბრტყეში“

საინფორმაციო სააგენტო REGNUM.

აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მიიღო მარშალის ფონდის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს შვედეთის წარმომადგენელი კარლ ბილდტი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ასევე, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, სლოვაკეთის და ესტონეთის წარმომადგენლები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი, უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა, საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.

იხ. მე-3 გვ.

## „უმანკო“ გენიოსები

*ხშირად გვსმენია, რომ გენიალური აღმოჩენები და ნაშრომები სექსუალური ენერგიის სუბლიმაციის ნიადაგზე გაკეთებულა. არ არის გასაკვირი, რომ გენიოსთა შორის მრავლად არიან უმანკო „ბიჭუნები“.*



ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი.



მწერალი ნიკოლოზ გოგოლი.



მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი.



ფილოსოფოსი იმანუილ კანტი.



სატელევიზიო თამაშების „რა? სად? როდის?“ და „ჩემი თამაშის“ რეკორდსმენი-გამარჯვებული ანატოლი ვასერმანი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 146. ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2005 წელი.

ერიჰა!

# თურქი ალაჰს მადლს სწირავდა, ქართველი კი თავზედს იწყევლიდა

(პირველი გვერდიდან)

პირდაპირ არის მითითებული, რომ დოკუმენტები შსს-ს საგზაო პოლიციამ გააყალბა. მათ დაუდევრობას კი ხვედელიძის კანონიერი ინტერესები შეეწირა. მისი ადვოკატი ლალი აფციაური 2003 წლიდან 2005 წლის 17 ივნისამდე კატეგორიულად ითხოვდა ხვედელიძის დაზარალებულად ცნობას, რადგან იგი ავტომანქანის კეთილსინდისიერი მფლობელია. დადგენილებაში მითითებულია, რომ მანქანა საქართველოს ტერიტორიაზე შოთა ლიპარტელიანმა შემოიყვანა, მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა, რადგან იგი საზღვარგარეთ იმყოფება. მისგან მანქანა იყიდა სერგო აბულაძემ, აბულაძისგან კი 18000 დოლარად – ხვედელიძემ. მანქანა საქართველოში იყო გაფორმებული და ჰქონდა ქართული სანომრე ნიშნები.



ლალი აფციაურმა არაერთხელ მიმართა შესაბამის სტრუქტურას, რომ ხვედელიძე დაზარალებულად ეცნოთ, პასუხი ყოველთვის ერთიდაიგივე იყო: **„მოთხოვნა ხვედელიძის დაზარალებულად ცნობის შესახებ ხსენებულ საქმეზე გამოძიების მიერ უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ვინაიდან თურქეთის რესპუბლიკაში გაგზავნილია შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომლის პასუხის მიღებამდე შეუძლებელია დადგინდეს, თუ ვინ და რა ვითარებაში მიისაკუთრა ფარულად ავტომანქანა, შემდეგ, საბაჟო წესის დარღვევით საქართველოში როგორ შემოიყვანა და ყალბი დოკუმენტების საფუძველზე მისი რეგისტრაცია მოახდინა. პასუხის მიღების შემდეგ განსახორციელებელია მთელი რიგი ღონისძიებები, რის შემდეგაც ავტომანქანის უკანონო მფლობელთა და დაზარალებულთა ვინაობა გაირკვევა“.**

ამის შემდეგ ლალი აფციაურმა განცხადების პასუხი გენპროკურატურაში ზედამხედველ პროკურორთან გაასაჩივრა და საკუთარი მოთხოვნაც გააცნო, რომ სულხან ხვედელიძე ეცნოთ დაზარალებულად და საქმის ძიება გაგრძელებულიყო.

გენპროკურატურამ აფციაურის საჩივარი 2005 წლის 16 მარტს დააკმაყოფილა, საქმეზე წინასწარი გამოძიება განახლდა, ხოლო ხვედელიძე ერთი თვის ვადაში დაზარალებულად უნდა ეცნოთ და შემდეგ დაეკითხათ. ეს პროცესი სამ თვემდე გაიწელა...

სულხან ხვედელიძეს ალბათ, იმედი მიეცა, სიმართლე დადგინდება და ყველაფერი მალე გაირკვევაო, „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა“...

2005 წლის 17 ივნისს ხვედელიძემ და მისმა ადვოკატმა ტელეეკრანით იხილეს თურქი ენის ნიუჰ-ოღლის გაბრწყინებული სახე, რომელმაც ხვედელიძის „ჭრელა“ თურქეთის გზას გაუყენა. მანამდე ამ გარემოების შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. იმავე საღამოს ათის ნახევარზე ხვედელიძე დაზარალებულად ცნეს: – ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ საქართველოში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა, მოპარული მანქანა გადაეცა თურქეთის მოქალაქეს. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა, საქართველოს ხელისუფლებამ თავისი მოქალაქის კანონიერი ინტერესები გვერდზე გადადო და თურქეთის მოქალაქის ინტერესები დააკმაყოფილა.

– 17 ივნისამდე დაზარალებულად შეგნებულად არ გვცნეს, რათა სასამართლოსთვის მომართვის უფლება არ გვქონოდა. თავისი ბინძური საქმიანობა დაამთავრეს, მანქანა გაატანეს და დაზარალებულად შემდეგ გვცნეს, რათა მათ ზრახვებს განგაში არ მოჰყოლოდა, – აცხადებს ლალი აფციაური.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ორი წლის განმავლობაში საქმის მასალების გაცნობის უფლებას ადვოკატს არ აძლევდნენ, მისთვის უცნობია, რა დოკუმენტების საფუძველზე გადასცეს ავტომანქანა თურქეთის მოქალაქეს, ხვედელიძეს არ აცნობეს, რომ მის მანქანას სხვა პატრონი გამოუჩნდა. ახლახან გაირკვა ისიც, რომ, თურმე, თურქეთის ტერიტორიიდან საქართველოში ეს მანქანა შემოიყვანა თურქეთის მოქალაქემ, ვინმე სენ სედატმა, ავტომობილს ჰქონდა ის სანომრე ნიშნები, რომლითაც იგი თურქეთის ტერიტორიაზე დაიკარგა. სედატმა მანქანა საქართველოში ლიპარტელიანს მიჰყიდა და გააფორმა კიდეც, მისგან აბულაძემ შეიძინა, ბოლოს კი ხვედელიძემ. დაზარალებულიც სწორედ იგი აღმოჩნდა.

ცნობილია ისიც, რომ ევროპის ქვეყნებში ავტომობილები ძირითადად დაზღვეულია, მათი დაკარგვის შემთხვევაში მეპატრონე სერიოზულ თანხას იღებს. გამოძიებას არ გაურკვევია, ენის ნიუჰ-ოღლიმ სადაზღვევო კომპანიიდან თანხა აიღო თუ არა.

– ეჭვი მებადება, ვინ იყო ის პიროვნება, მართლა თურქეთის მოქალაქე, თუ ვინმე სხვა... ეს ყველაფერი სპეცეფექტებით გაჯერებული პიარისთვის მომზადებული სპექტაკლი იყო, – ასკვნის ლალი აფციაური.

სადღეისოდ მზად აქვთ სარჩელი, ისინი მორალური და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად 400000 ლარს ითხოვენ. საჭიროების შემთხვევაში საქმეს სტრასბურგამდეც მიიყვანენ; უშიშროების სამინისტროს ავტოსადგომზე გაჩერებული 500 ავტომობილის მფლობელებს კი მოუწოდეს, რომ სანამ დროა, მათ გვერდით დადგნენ.

**ლელა ხვადაგიანი**

პრემიერ-მინისტრი

## ნოღაიდელი იმედიანადაა



**„ევრაზჰოლდინგის“ მიერ „ჭიათურმანგანუმის“ და „ვარციხეჰესის“ შეძენაზე უარის თქმასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ საქართველოს ბიუჯეტზე ეს არ აისახება.**

**„დანაკლისი ეს არ იქნება, რადგან მხოლოდ ამ ერთ საპრივატიზაციო ობიექტზე ბიუჯეტი დამოკიდებული არ იყო. არც „ჭიათურმანგანუმისთვის“ იქნება, საბოლოო ჯამში, დანაკლისი იმ თვალსაზრისით, რომ ეს პროცესი აუცილებლად დასრულდება“, – განაცხადა ნოღაიდელმა.**

**მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა არ აპირებს მომხდარის მიზეზებში ღრმად ჩაწვდომას. „ევრაზჰოლდინგმა“ კი ეს გადაწყვეტილება თავისი პრობლემებიდან გამომდინარე მიიღო.**

**საქართველოს პრემიერი დარწმუნებულია, რომ „ჭიათურმანგანუმის“ და „ვარციხეჰესის“ პრივატიზება მომგებიანი პროექტია და ახალი ინვესტორიც აუცილებლად მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**

კადრები

## საგადასახადოს ახალი თავმჯდომარე



**ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვაჟა პეტრიაშვილი დაინიშნა.**

**საგადასახადო დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ხელი უკვე მოაწერა.**

**ვაჟა პეტრიაშვილმა ამ თანამდებობაზე დავით გალეგაშვილი შეცვალა. ამ უკანასკნელის თანამდებობიდან გადადგომის მიზეზების შესახებ კი არაფერია ცნობილი.**

**„მედია-ნიუსი“.**

აქტუალური თემა

# კვალის საძიებლად... სოხუმში

**სულ ახლახან მოსკოვში, ჟენევის ფორმატის ფარგლებში, სოჭის შეთანხმების საფუძველზე, ქართულ-აფხაზური სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე დევნილთა დაბრუნებისა და სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხები განიხილეს. სამუშაო შეხვედრაში ქართულ-აფხაზური მხარეების გარდა გაეროს მისიის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

მოსკოვის შეხვედრაზე მხარეებმა გალში დევნილთა დაბრუნება სექტემბერში დაგეგმეს. დევნილების გარკვეული ნაწილი გალში დიდი ხანია დაბრუნდა, მაგრამ ამჯერად საუბარი დევნილთა ორგანიზებულ დაბრუნებაზეა. სოხუმი ამ გადაწყვეტილებას რკინიგზის ამოქმედების საკითხს არ უკავშირებს, მაგრამ ცხადია, რომ მიზეზი სწორედ ეს გახლავთ.

ყურადსაღები ამბავია, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კომერციულ ბანკებს რუსეთის ტერიტორიაზე საკორესპონდენციო ანგარიშები დაუხურეს. აფხაზური მხარე კი ამტკიცებს, რომ ამ საკითხზე რუსეთის ცენტრალური ბანკის რეაქცია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ოფიციალურ პროტესტს არ მოჰყოლია და საბაბად ყურითმოთრეულ მიზეზს ასახელებს, მაგრამ აქაც ცხადია, რომ რუსულმა მხარემ საქართველოს პროტესტი გაითვალისწინა.

რა ხდება? მოსკოვ-თბილისის პოზიცია ერთმანეთს უმთავრეს საკითხში არ ემთხვევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან რაღაც დათმობის მაგვარი შეინიშნება. როგორც ჩანს, რუსეთმა იგუმანა, რომ გონივრული დათმობა აუცილებელია. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი თუნდაც იმას არ გრძნობდეს, რომ კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების მისია სულ მალე ამოიწურება: აფხაზეთში სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანას უკრაინა ვარაუდობს, რითაც მოსკოვი ნამდვილად ვერ დარჩება აღფრთოვანებული.

ერთი საინტერესო დეტალი: ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექცია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების გატარების შემდეგ, აფხაზეთში პლუტონიუმის ან გამდიდრებული ურანის კვალის საძიებლად გაემგზავრება. აღნიშნული ნედლეული, რომელიც ატომური ბომბის შექმნისთვისაა საჭირო, სოხუმის ცნობილი ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტიდან დაიკარგა. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექციის ვიზიტი საქართველოში, შესაბამისად აფხაზეთში, ირანის მიერ ატომური ბომბის შექმნის გახმაურებულ ისტორიას უკავშირდებოდეს. მოგეხსენებათ, ირანის ხელისუფლება არ მალავს, რომ ატომური იარაღის შექმნისთვის აუცილებელი ინგრედიენტის მიღებას ცდილობდა, თუმცა თეირანი ამტკიცებს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სურს. ასეთ განცხადებას მსოფლიო, საერთოდ და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები, რასაკვირველია, არ ენდობა. მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებები ასეთ სურვილს ვერ იგუებს.

... იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე კონფლიქტამდე არ მივა.

**მზია გელენავა**

ალტერნატივა

# ორი მთავრობა გვეყოლება?

**საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ კომიტეტში (სედმკ) გაწევრიანებულმა პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაიწყეს კონსულტაციები დროებითი კოალიციური მთავრობის შესაქმნელად.**

როგორც სედმკ-ის თავმჯდომარემ, ღვთისშვილთა კავშირის ლიდერმა ზაზა სიხარულიძემ განაცხადა, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც არსებული დე ფაქტო ხელისუფლება თავისი არსით ეწევა ანტიეროვნულ, ანტისახალხო და ანტისოციალურ პოლიტიკას, საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს ალტერნატიულ სახალხო სამთავრობო სტრუქტურათა ქსელის შექმნა. ამასთან, შემუშავებულია და საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდება საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველო უნდა გახდეს კონსტიტუციურმონარქიული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, დროებითი კოალიციური მთავრობა შეასრულებს რეგენტთა საბჭოს ფუნქციებსაც. სავარაუდოა, რომ ალტერნატიული სამთავრობო სტრუქტურები საქმიანობას დაიწყებენ შემოდგომიდან.

**საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის პრესცენტრი**

ინფორმაცია

## „მომავლის მთავრობის“ ხუთი წინადადება

**ცესკოს თავმჯდომარე გია ქავთარაძე პოლიტიკური მოძრაობა „მომავლის მთავრობის“ წარმომადგენლებს გივი გიგაურსა და ედიშერ წივწივაძეს შეხვდა. მოძრაობამ ცესკოს ის წინადადებები გააცნო, რომელთა გათვალისწინებაც, მათი აზრით, ქვეყანას არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარების საშუალებას მისცემს.**

**„მომავლის მთავრობას“ ხუთი ასეთი წინადადება აქვს შემუშავებული. კერძოდ, პოლიტიკური უმცირესობებისა და მრავალპარტიული სისტემის დასაცავად ისინი 7-ის ნაცვლად 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწესებას მოითხოვენ;**

**მოძრაობაში მიაჩნიათ, რომ თბილისის საკრებულო პარტიულის ნაცვლად, მაჟორიტარული წესით უნდა აირჩიონ. ანუ თბილისელებმა თბილისელები აირჩიონ. პარტიული წესით არჩევისას საკრებულოში ამა თუ იმ პოლიტპარტიის ლიდერის გამო ბევრი უცნობი ადამიანი ხვდება. დედაქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი შემდგომ ინერტულები ხდებიან. მაჟორიტარული წესით დამკვიდრება კი საშუალებას მისცემს კანდიდატს, თავისი პიროვნული ღირსებები მაქსიმალურად გამოავლინოს;**

**„მომავლის მთავრობა“ მოითხოვს, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სია ინტერნეტში იმ პერიოდზე ადრე განთავსდეს, რაც მის გადასამოწმებლად გახდება საჭირო;**

**არჩევნებზე არეულობის თავიდან ასაცილებლად, მოძრაობა ხმის მისაცემად მხოლოდ ერთი, პირადობის მოწმობის წარდგენას მოითხოვს.**

**და ბოლოს, მოძრაობის წევრთა აზრით, ოქმების გაყალბებისგან დასაცავად, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, მათი ხელახლა გადათვლის წესი უნდა დაკანონდეს.**

**გია ქავთარაძე შეხვედრით კმაყოფილი დარჩა და აღნიშნა, რომ პირველი და მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილება უშუალოდ პარლამენტის გადასაწყვეტია. ბოლო სამ წინადადებას კი ცესკო გულისყურით განიხილავს.**

## პირველად დატოვეს ათონის მთა, რომ საქართველოში ჩამოსულიყვნენ



**გრძელდება 14 ათონელი ბერის ვიზიტი საქართველოში. 21 ივნისს მათ შეხვედრა გამართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზანტისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ცენტრში. ათონელი სტუმრები პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მიიღეს.**

**მოგვიანებით ისინი მახათას მთაზე ტაძრის საძირკვლის კურთხევას დაესწრნენ.**

**დაგეგმილია ათონელი ბერების საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან შეხვედრა.**

**დღეს სტუმრები ატენისა და თბილისის ფერისცვალების მონასტრებს, მამადავითის ტაძარს მოინახულებენ. ეწვევიან საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტს.**

**როგორც საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ ცხოვრებაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, სტუმართაგან ზოგიერთმა საქართველოში ჩამოსვლით პირველად დატოვა ათონის მთა.**

**ათონელი ბერები საბერძნეთში ხუთშაბათს, 23 ივნისს დაბრუნდებიან.**

**„მედია-ნიუსი“.**

ოპოზიცია

# „ამხევი“ ხელისუფლების „პუტუნ-პუტუნით ჩატარებული პრივატიზაცია“

**პრივატიზაციის დაწყების დღიდანვე მის დასახასიათებლად ოპოზიცია შეფასებებს არ იშურებდა – გაუმჭვირვალეო, უკანონოო, ქვეყნის დამღუპველი და მთავრობის ამაშენებელიო... მთლად უსაფუძვლოდ რომ არ ყვიროდნენ და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც ანგარიშის გაწევა მოუწია, სანაოსნოს პრივატიზაციასთან დაკავშირებულმა ამბებმა ცხადჰყო. ახლა კი, „ევრაზჰოლდინგის“ განცხადების შემდეგ, შეშფოთების მიზეზმაც იმატა. ჩაიშალა საპრივატიზაციო გარიგება „ჭიათურმანგანუმისა“ და „ვარციხჰესის კასკადის“ გასხვისებასთან დაკავშირებით. ოპოზიციონერებს თუ დავესესხებით, კომპანია „ევრაზჰოლდინგი“ უკანმოუხედავად გაიქცა. ამან ქვეყანას ორმაგი დარტყმა მიაყენა – ფინანსური და მორალური. გარიგების თანახმად , სახელმწიფო ბიუჯეტში 132 მილიონი დოლარი უნდა შესულიყო, რომლის ნაწილი, 20 მილიონი, უკვე გადახდილი იყო. ამის შემდეგ კომპანია უარს ამბობს საპრივატიზაციო გარიგებაზე. ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო გარემო არც აქამდე ბრწყინავდა და იზიდავდა ინვესტორებს, ახლა კი „ევრაზჰოლდინგის“ გაქცევა მაინცდამაინც კარგ რეკლამად ვერ გამოგვადგება.**

გარიგების ჩაშლის მიზეზების დასადგენად გუშინ „მემარჯვენე ოპოზიციამ“ ფრაქციის სხდომაზე მოიწვია სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის მინისტრები, თუმცა, არც ერთმა მათგანმა არ ჩათვალა საჭიროდ დეპუტატებთან მისვლა. ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ სხდომა ღია იყო და მას სხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

აღნიშნული პრივატიზაციის საკითხი ირაკლი იაშვილმა შეისწავლა და დარბაზში მსხდომთ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა. მან მთავრობის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებაზე, კანონდარღვევებზე ილაპარაკა. საქართველოს მთავრობას, „ევრაზჰოლდინგსა“ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციონერებს შორის 2005 წლის 24 იანვარს გაფორმდა მემორანდუმი, რომლის პირობებიც „ევრაზჰოლდინგისა“ და ფეროშენადნობთა ქარხნის აქციონერთა მიერ დაფუძნებულ კომპანიას, „ნიუკოს“ უნდა შეესრულებინა. მთელი აქტივებიც მას გადაეცემოდა. საპრივატიზაციო ობიექტების საერთო ფასი 132 მილიონი დოლარით განისაზღვრა. სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად, ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 51 პროცენტი პირობითიდან ნამდვილ საკუთრებაში გადაეცემოდა კომპანიას „დეკა მეტალი“. თავის მხრივ, ის ნახევარს დაიტოვებდა, მეორე ნახევარს კი ფეროს აქციონერებს გადასცემდა, რომლებიც აქციების ამ 25,5 პროცენტს „ნიუკოს“ საკუთრებაში გადასცემდნენ. ამის პარალელურად, თებერვალში სახელმწიფოს „ნიუკოსთვის“ უნდა გადაეცა „ვარციხჰესის კასკადების“ აქტივების 95 პროცენტი, 2 ივნისისთვის კი უნდა დასრულებულიყო ამავე კომპანიისთვის „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების 100 პროცენტის გადაცემა. „ევრაზჰოლდინგს“ თავისი ვალდებულება არ შეუსრულებია და განრიგის თანახმად ტრანში არ გადაურიცხავს, რაც პრივატიზაციის ჩაშლის პირველი სიგნალი იყო.

– სად იყო ამ დროს ფინანსთა სამინისტრო? – უპასუხო შეკითხვა დასვა ირაკლი იაშვილმა.

მან ფეროშენადნობთა ქარხანასთან დაკავშირებით იმ კანონდარღვევებზეც ილაპარაკა, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოსგან მალულად 60-80 მილიონი დოლარი დაილექა მავანთა ჯიბეებში.

რაც შეეხება აქციების 51 პროცენტს, ირაკლი იაშვილი ვარაუდობს, რომ საქმე აფიორასთან გვაქვს. 10 მილიონ დოლარად ფეროშენადნობთა ქარხნის 51 პროცენტს ისაკუთრებს „დეკა მეტალი“, მაშინ როცა „ფეროს“ წლიური ბრუნვა 100 მილიონ დოლარს აჭარბებს, ასე რომ, კარგი შენაძენია „ევრაზჰოლდინგის“ შვილობილი კომპანიისთვის.



ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ სცადა, როგორმე აეხსნა შექმნილი ვითარება.

– მაინტერესებს, ეს ხალხი სად და რატომ წავიდა. თუ ინფორმაცია გაქვთ, მომაწოდეთ, თუ არადა, თქვით, რომ კომპეტენტური არ ხართ, – მიმართა ზვიად ძიძიგურმა.

კახა დამენიამ კომპეტენტური პასუხი ნამდვილად ვერ გასცა – რა ვქნა, თუ გაიქცნენ, ჯვარდაწერილები კი არ ვიყავით მაგათზეო.

რაკი მისგან ვერ მიიღო ინფორმაცია, მიზეზებში გასარკვევად ძიძიგურმა მოარული ხმები მოიშველია:

– გავრცელებულია მოსაზრება, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ მთავრობამ და ღლევანდელმა პრემიერ-მინისტრმა ახალი პირობები წაუყენეს „ევრაზჰოლდინგს“, რომლის შესრულებაც ამ კომპანიამ არ მოისურვა.

ზვიად ძიძიგურმა არც მეორე ვარიანტი გამორიცხა – „ევრაზჰოლდინგი“, შესაძლოა, ჩვენი მთავრობის საყვარელ რეკეტს გაექცაო. კონსერვატორთა ერთ-ერთ ლიდერს შექმნილი მდგომარეობა ხომ არ მოსწონდა და არც დამენიას მოღიმარი სახით მოხიბლულა:

– საკმაოდ ხალისიანი საქმე გაქვთ. კარგი რამე არ ხდება საქართველოში და სახალისოდ არ უნდა გქონდეთ საქმე.

კახა დამენია ოპოზიციონერებს არაფერში დაეთანხმა, მათ შორის, არც იმაში, რომ გარიგების ჩაშლით ბიუჯეტმა იზარალა. მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტი ერთი საწარმოს გაყიდვაზე არ არის დამოკიდებული. აგერ, ბატონო, ელექტროკავშირი და სხვა „რაღაც-რაღაცეებიც“ არის გასაყიდი. ბიუჯეტი რომ შეივსება, ამაში არც ძიძიგურს შეჰპარვია ეჭვი:

– სახაჭაპურეების რეკეტირებაზე გადახვედით და შეავსებთ ბიუჯეტს, აბა, რას იზამთ!..

სიტყვა რეკეტი გუშინდელ სხდომაზე ხშირად გაისმოდა. მაგალითად, ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლაშა ნაცვლიშვილმა ასეთი რიტორიკული შეკითხვა დასვა:

– „ამხევი“ ხელისუფლება რომ ხართ, იმიტომ ხომ არ გაგირბიან ინვესტორები?

მაგრამ მოდით, კვლავ აქციების 51 პროცენტს მივუბრუნდეთ. კახა დამენიას თქმით, არანაირ აფიორას არ აქვს ადგილი – ეს აქციები წლის ბოლოს მაინც გადაეცემოდათ აქციონერებს უპირობო საკუთრებაში. ამისათვის მათ ერთი მილიონის ინვესტიცია უნდა ჩაედოთ საკუთარ საწარმოში. ამას ითვალისწინებდა 2003 წელს დადებული კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, აქციონერებმა ბიუჯეტის სასარგებლოდ 7 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ახალ ხელისუფლებასთან გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად, მათ, უბრალოდ, „ფეხს მოუჩქარეს“. წლის ბოლოს აღარ დაელოდნენ და ამისთვის 10 მილიონი დოლარის გადახდაც არ დაენანათ. საკვირველი ლოგიკაა – კაცი თავის საქმეში ერთი მილიონი დოლარის ჩადებას სხვისთვის 10 მილიონის მიცემას არჩევს.

– სერიოზულ ბიზნესში უნდოდათ შესვლაო, – ასე ახსნა მათი ნაბიჯი დამენიამ.

– კი, „მაგარ“ ბიზნესში შევიდნენო, – ირონიულად დაუდასტურეს.

– ეს ყველაფერი კაბინეტში განხორციელებული პრივატიზაციის შედეგია, – მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს ზვიად ძიძიგურმა.

– პუტუნ-პუტუნით რომ ჩაატარეთ, იმის ბრალია. – მწვავე სიტყვები არც დავით გამყრელიძემ დაიშურა.

„მემარჯვენე ოპოზიციამ“ შეიმუშავა პარლამენტის დადგენილების პროექტი, რომელსაც რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე გაიტანს თანამოაზრეთა შემოკრების იმედით. დადგენილების პროექტში ჩამოწერილია მოთხოვნები, რომლებიც პრივატიზაციასთან დაკავშირებული გარიგებების შესწავლას ითხოვს გენერალური პროკურატურისა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მიერ. უმთავრესი მოთხოვნა კი პრემიერ-მინისტრის, კახა ბენდუქიძის, ალექსი ალექსიშვილისა და ვალერი ჩეჩელაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დაყენებაა.

**რუსუდან გახარია**

ინფორმაცია

## გაასამართლეს ასლან აბაშიძის ყოფილი პრეს-მდივანი



**ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ყოფილ პრეს-მდივანს, აჭარის ტელევიზიის ყოფილ დირექტორს თამაზ ბაკურიძეს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას სასჯელის მოხდა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოუწევს.**

**ბაკურიძეს ბრალი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობაზე ედება.**

**თავად მსჯავრდებული სასამართლოს გადაწყვეტილებას არაობიექტურს უწოდებს.**

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას თამაზ ბაკურიძის ადვოკატი აჭარის უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრებს.**

## მექრთამეობაში ეჭვმიტანილი დააკავეს



**შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის გამგებლის მოადგილე გიორგი წიკლაური დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან მოქალაქეს 0,5 ჰექტარი მიწის გამოყოფისთვის ორი ათასი დოლარი გამოსძალა.**

**დანაშაული ათი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.**

**„მედია-ნიუსი“.**

სიკეთე

## ვეტერანები სტიქიით დაზარალებულებს ეხმარებიან

**სტიქიამ არ დაგვინდო, წყალდიდობებმა ლამის დააქცია ჩვენი სოფელი, – ქვეყნის ბურჯი და ბალავარი... ძველებურად დადგა ფეხზე საქართველო, დიდი და პატარა, შეძლებული თუ ხელმოკლე. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, არც ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი გამდგარა განზე, გამონახეს საჭირო სახსრები და 20 ივნისს დუშეთის რაიონის დაზარალებულ ოჯახებს ეწვივნენ ხელდამშვენებულნი.** სატვირთო მანქანები, როგორც იტყვიან, წელში იზნიქებოდნენ... პირველ რიგში აფხაზეთის ომის ვეტერანთა 54 ოჯახს დაურიგეს ტანსაცმელი, საბან-ქვეშაგები, პროდუქტები და ათასი წვრილმანი. ქველმოქმედთ თან მოჰყვებოდნენ ექიმ-სპეციალისტები საჭირო პრეპარატ-აპარატებით და ლაბორატორიებით. რათა სამედიცინო დახმარება გაეწიათ არა მარტო ვეტერანებისთვის... ხალხი გულითადად გამოხატავდა მადლიერებას.

აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება ერთჯერადი არ არის. იგი მთელი კვირა გაგრძელდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ვეტერანთა ორგანიზაციები.

**ზაურ ფიფია.**
**დუშეთი – თბილისი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო არ გადასცემს ამერიკელებს მიტოვებულ აეროდრომს

მიხეილ ვიგნანსკი,
„ვრემია ნოვოსტეი“, 21 ივნისი.

**საქართველო არ აპირებს ამერიკელებს გადასცეს დიდი შირაქის მიტოვებული სამხედრო აეროდრომი. როგორც კახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა პეტრე ცისკარიშვილმა განაცხადა, მას ასეთი მონაცემები არ გააჩნია. სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა ოპოზიციური გაერთიანების „ქართული მოძრაობის“ ლიდერმა ვახტანგ ტალახაძემ, რომელმაც გაზეთ „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ხელისუფლება სთავაზობს აეროდრომის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებლებს აიყარონ იმ ადგილებიდან და კომპენსაციის სახით პირდება 50 ათას დოლარს ყოველ ოჯახს.**

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის და თავდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა ამერიკელებისთვის აეროდრომის გადაცემის შესახებ გავრცელებულ ხმებს უწოდეს „ზღაპარი“, „წმინდა წყლის მონაჭორი“ და „დეზინფორმაცია“. საქართველოს ხელისუფლებას არაერთგზის განუცხადებია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შემდეგ, ქვეყანაში არ გამოჩნდება უცხო სახელმწიფოთა ბაზები. აეროდრომის გადაცემის შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაემთხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შეერთებულ შტატებში ექვსდღიანი ვიზიტის დასრულებას. თუმცა, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა ასევე დიდი გაოცება გამოთქვეს იმის თაობაზე, თუ რის საფუძველზე გაავრცელა ბატონმა ტალახაძემ ასეთი ინფორმაცია.

როგორც რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილ მთავარსარდალს, არმიის გენერალ ანატოლი კორნუკოვს მიაჩნია, თუ ამერიკელები მიიღებენ აეროდრომს აღმოსავლეთ საქართველოში, ეს იქნება „მნიშვნელოვანი შენაძენი“ პენტაგონისთვის რეგიონის ნებისმიერ ქვეყანასთან კონფლიქტის შემთხვევაში. საბჭოურ დროში დიდი შირაქის აეროდრომზე განლაგებული იყო სუ-24 ტიპის საფრონტო ბომბდამშენები. აეროდრომის ბეტონის ასაფრენ-დასახდომი ზოლების სიგრძე 2,2 ათას მეტრს შეადგენდა. მაგრამ გენერალ კორნუკოვის თქმით, როგორც ასაფრენ-დასახდომი ზოლები, ისე აეროდრომის ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები, ახლა, პრაქტიკულად ხელახლაა შესაქმნელი. მიტოვებულ აეროდრომს, რომელიც საქართველოს მხარეს 14 წლის წინათ გადაეცა, სოფლელები საძოვრად იყენებენ. საქართველოს სამხედრო უწყების მწირი ბიუჯეტი არ იძლეოდა ამ აეროდრომის სათანადო დონეზე შენახვის საშუალებას. საქართველოში მოქმედებს ერთადერთი აეროდრომი, რომელიც აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს. თბილისის მახლობლად მდებარე მარნეულის აეროდრომის მოდერნიზება განხორციელდა თურქეთის მხარდაჭერით. ანკარამ ამ ობიექტის ხელახლა აღჭურვისთვის გამოყო თითქმის 2,5 მილიონი დოლარი.

№ 146, ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2005 წელი.

ახალი პოლიტიკური ისტორია

# BLUFF

**„— კაენ, სად არის შენი ძმა, აბელი, — ჰკითხა უფალმა კაენს.**
**— არ ვიცი, მე ხომ ჩემი ძმის დარაჯი არა ვარ, — მიუგო კაენმა“ (ბიბლია).**
**ეს იყო პირველი საზარელი ტყუილი კაცთა მოდგმის ისტორიაში.**

ბლეფი სიცრუის ნაირსახეობაა და ნიშნავს რაღაც ლეგენდის შეთხზვას საკუთარი არარსებული ღირსებების წარმოსაჩენად. ეს ინგლისური ტერმინი პოპულარულია ბანქოს პარტიის დახასიათებისას — ბლეფია, როცა აშკარად წამგებიანი კარტის მფლობელი თავს ისე მოგაჩვენებს, თითქოს მომგები იყოს. ნიჭიერ და რკინისნერვებიან მოთამაშეებს ხშირად უმართლებთ კიდეც.

ბლეფის ავტორმა ასიდან ასივე შემთხვევაში იცის, რომ სიცრუე დაუყოვნებლივ, ასე ვთქვათ, პარტიის დასრულებისთანავე გამჟღავნდება. მაგრამ ეს არ აშინებს, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმწუთიერი შედეგი — მოგებულს მშვიდად იდებს ჯიბეში და მიდის.

1869 წლის 17 ნოემბერს ბრწყინვალედ დადგმული, მდიდრული ცერემონიალით საზეიმოდ გაიხსნა მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი საინჟინრო ნაგებობა — სუეცის არხი. ამ გრანდიოზული მშენებლობის სულისჩამდგმელი და შემოქმედი იყო ფრანგი დიპლომატი, იურისტი და ინჟინერ-მშენებელი, ბარონისა და ლორდის ტიტულებით დაჯილდოებული, საფრანგეთის აკადემიისა და დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წევრი, ბრწყინვალე დენდი და ორატორი, მსოფლიოს ყველა სამეფო ოჯახის სასურველი სტუმარი, პოლიგლოტი ფერდინანდ ლესეპსი. თითქმის ორმოცსაუკუნოვანი ოცნების ასრულებას კაცობრიობა სწორედ ამ უნიჭიერესი კაცის ენერგიას და მონდომებას უნდა უმადლოდეს.

სუეცის არხის მშენებლობა მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „ოპერაცია“ იყო — ეგვიპტის ხელისუფლების ნებართვით, ეგვიპტური ფულით და ეგვიპტელი ხალხის ხელით (მშენებლობაზე ათი წლის განმავლობაში 120 ათასამდე ეგვიპტელი მუშა დაიღუპა!), ეგვიპტეში აშენებული ამ გრანდიოზული ნაგებობის სანაცვლოდ, არხი ჯერ ფრანგების, შემდეგ ბრიტანელების გამგებლობაში აღმოჩნდა. ეგვიპტემ კი კოლოსალური საგარეო ვალები დაიდო!

ამ უდიდესი ბლეფის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ სწორედ ფერდინანდ მარი ლესეპსი, რომელმაც ოთხმოცი წლის ასაკში ყველა საპატიო ტიტული, და ჩინ-მედლები დაკარგა და ერთხანს ციხის საკანიც ხეხა. სუეცის არხიც, საბოლოოდ, მის კანონიერ მფლობელს — ეგვიპტის სახელმწიფოს დაუბრუნდა.

დიდი ავანტურისტი 86 წლისა, სიღარიბეში გარდაიცვალა.

ლესეპსი უდიდესი ნიჭის ადამიანი გახლდათ. მას არა მარტო კონკრეტული პიროვნებების, არამედ ერთობ ავტორიტეტული ფირმებისა და საზოგადოებების, თვით სახელმწიფოების „გადაგდებაც“ კი შეეძლო.



არა ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ძირისძირობამდე აქვს შესწავლილი დიდი ფრანგის წარმატებების საიდუმლო. თუმცა, იძულებული ვარ, ვაღიარო: საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში ბლეფი, ანუ ძალიან მოკლეფეხება აშკარა ტყუილი ძალიან ხანმოკლე, ან, სულაც, რიტუალური წარმატების მოსაპოვებლად — დიდ გასავალშია.

ვიცი, არ დამიჯერებთ — ხალხის არჩეული რევოლუციური ხელისუფლება ტყუილს როგორ იკადრებსო. გულწრფელად რომ ვთქვა, არც მე ვარ ამაში დარწმუნებული. უფრო სწორად, დაჯერება არ მინდა. ამიტომ, მოდით, ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით მომხდარი ორიოდე გახმაურებული ფაქტი მოვიშველიოთ.

ვიდრე ბათუმის სანაოსნოს „გაყიდვასა“ და სხვა საინტერესო ამბებზე გადავიდოდეთ, ძალიან გთხოვთ, იქნებ გაიხსენოთ, რით დაიწყო ქვეყანაში წესრიგის დამყარება შს მინისტრად დანიშნულმა „ვარდების რევოლუციის“ სინდისმა გია ბარამიძემ — კულინარული ყაყაჩოს თესლის საჯარო და პომპეზური განადგურებით! თქვენი არ იყოს, ბატონი გიას გონებრივ შესაძლებლობებზე მეც მაღალი წარმოდგენისა ვარ. ამიტომ ვერ დავიჯერებ, არ სცოდნოდა, რომ მთელ მსოფლიოში უაღრესად გავრცელებული „პიშევოი“ ყაყაჩოს თესლის პოლიციის სამინისტროს ეზოში აგიზგიზებულ ინკვიზიციის წმინდა კოცონზე დაწვით ნარკომაფიას ვერ დაამარცხებდა. მან, ალბათ, ისიც იცოდა, რომ კულინარული ყაყაჩოს თესლიდან კუსტარული წესით ნარკოტიკული ნივთიერების მიღება იმდენად რთული ტექნოლოგიური პროცესია, ისე ძვირი ჯდება, რომ მისი უშუალოდ „ბარიგისგან“ შეძენა გაცილებით სარფიანია.

ის მცხუნვარე კოცონი, ის ტელევიზიის ეკრანებზე აკივლებული ყაყაჩოს თესლის გამყიდველი საბრალო დედაკაცები, ის ხმაურიანი „ამოღების“ ოპერაციები და არანაკლებ ხმაურიანი განცხადებები იყო სწორედ ბლეფი დევიზით — „მე და მამა ვმუშაობთ!..“

ბატონი ირაკლი ოქრუაშვილის პირველი „ოპერაციებიც“ გემახსოვრებათ — კუნთმაგარი ნიღბიანი ბიჭები უშუალოდ გუბერნატორის მეთაურობითა და ტელეკამერების თანხლებით იჭრებიან ე. წ. „სასტუმრო ოთახებში“, ლოგინებიდან ყრიან გაოგნებულ და შეშინებულ დედიშობილა კაცებს და საეჭვო ყოფაქცევის ქალებს.

გთხოვთ, კარგად გამიგოთ — არ ვლაპარაკობ ამ და სხვა ამგვარი აქციების სამართლებრივ მხარეზე, არც მორალურზე.

ირაკლი მრისხანემ (ოქრუაშვილმა), რა თქმა უნდა, იცოდა, რომ პროვინციელი ბოზების დაწიოკებითა და ცოლის მოღალატე კაცების მხილებით კრიმინოგენურ ვითარებას ვერ უშველიდა, მაგრამ ჩვენთვის რევოლუციის მადლი და ხიბლი ხომ უნდა დაენახვებინა! დაგვანახა კიდეც — მაზოხისტური სტრიპტიზის ფონზე.

ესეც იყო ბლეფი — უხეში, გულუბრყვილო, ცუდად დადგმული და შესრულებული, მაგრამ მაინც ბლეფი.

სანაოსნოს გაყიდვის ოპერაციაში საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება თითქმის სრული შემადგენლობით მონაწილეობდა. თავიდან თქვეს, კონკურსის წესით ვყიდითო, მაგრამ სწრაფად გაირკვა, რომ ხელისუფლებას სანაოსნოს აუქციონზე გაყიდვა უნდოდა. თანაც, რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძლება მალულად. ასეც მოხდა. სანაოსნო გაიყიდა. შედეგით კმაყოფილი იყო ყველა — მინისტრ ბენდუქიძიდან პენსიონერ ენუქიძემდე. საბოლოოდ, გაირკვა, რომ, თურმე, ჩვენი სიამაყე საქართველოს სანაოსნო თავისი ტერმინალებით და ათობით ჰექტარი მიწით არარსებულ ფირმას უყიდია. მოკლედ, მთელი ჩვენი ხელისუფლება ვიღაც საერთაშორისო ავანტურისტმა მწარედ გაამასხარავა. ამ ისტორიაში ბლეფი არის ის, რასაც ხელისუფლება „კონკურსს“ უწოდებს.

კონკურსების მოწყობის ტექნოლოგიები დიდი ხანია მთელ მსოფლიოში შესანიშნავადაა დამუშავებული. ძალიან მოკლედ, ეს არის საუკეთესოს გამოვლენის სისტემა. საუკეთესო რომ გამოავლინო, ამისთვის უბრალო რამ არის საჭირო — საუკეთესოს შერჩევის გულწრფელი სურვილი და, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიების ცოდნა. ამის მცოდნე ხალხი საქართველოშიც კი, საბედნიეროდ, ბევრია. საუბედუროდ, ძალიან მცირეა გულწრფელთა რაოდენობა და, შესაბამისად, უგულებელყოფილია დამუშავებული ტექნოლოგიები.

კონკურსის ქართული ვერსია დაახლოებით ასე გამოიყურება: ვთქვათ, ომბუდსმენის აპარატი აცხადებს კონკურსს ამ სამსახურში არსებული ვაკანსიების დასაკავებლად. იქმნება „კომპეტენტური ჟიური“, რომელსაც ნიშნავს ვიღაც კიდევ უფრო „კომპეტენტური“. ცხადდება კონკურსის პირობებიც. ამავე დროს, აპარატმა წინასწარ უკვე იცის იმ ორმოცდაათი პირის ვინაობა, ვინც კონკურსში აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს. კონკურსის პირობები წინასწარ უკვე მორგებულია გასამარჯვებლებზე, ანუ ყველაფერი ეს არის წმინდა წყლის ბლეფი.

ამ შემთხვევაში, ბლეფი საჭიროა საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად — ჩვენ ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას!

იხ. მე-4 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სერგეი ბაღაფში: „ჩვენ ვერ ვხედავთ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში, და, შესაბამისად, არც ვფიქრობთ ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე ამ სიბრტყეში“

საინფორმაციო სააგენტო REGNUM.



(პირველი გვერდიდან)

როგორც მარშალის ფონდის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, ისინი მიზნად ისახავენ გაეცნონ აფხაზეთში შექმნილ ვითარებას და შეიტყონ, თუ როგორ ესახება აფხაზეთის ხელმძღვანელობას საქართველოს შემადგენლობაში რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

„ჩვენ ვერ ვხედავთ აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში, და, შესაბამისად, არც ვფიქრობთ ჩვენი ეკონომიკის განვითარებაზე ამ სიბრტყეში“, — განაცხადა აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა. როგორც მან თქვა, აფხაზეთის ხალხმა, რომელმაც გადაიტანა უმძიმესი ომი, 1999 წელს გამართულ რეფერენდუმზე განსაზღვრა თავისი მომავალი — დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. „ჩვენ ევროპაში ვიმყოფებით და გვსურს ევროპული სახელმწიფოსავით განვითარება“, — აღნიშნა ბაღაფშმა. შეეხო რა საქართველოსთან ურთიერთობას, ბაღაფშმა განაცხადა, რომ იგი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ თანასწორუფლებიან, სახელმწიფოთა შორის საფუძველს. ბაღაფშის თქმით, საქართველოს ხელმძღვანელობა სიტყვით მხარს უჭერს არსებული პრობლემების მშვიდობიან მოგვარებას, საქმით კი ზრდის სამხედრო პოტენციალს, რაზეც თვალს ხუჭავს საერთაშორისო გაერთიანება. „ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, თუ ვის წინააღმდეგ ისხამს იარაღს საქართველო და ამიტომ იძულებული ვართ, თვითონაც ვიზრუნოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისთვის“, — თქვა თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა. საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე საუბრისას, ბაღაფშმა აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობები განსაზღვრულია სოჭის 2003 წლის შეთანხმებით.

დელეგაციის ზოგიერთი წევრის აზრი, აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში რესპუბლიკას უსახავს კარგ პერსპექტივებს, მათ შორის საქართველოსთან ერთად ევროკავშირში გაწევრიანებასაც. ამის პასუხად, აფხაზთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება ვერ გახდება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნების საშუალება. როგორც პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა თქვა, აფხაზეთს გააჩნია საკმაო ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალი დამოუკიდებლად განვითარებისთვის.

მარშალის ფონდის დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ აფხაზეთში განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემებისა და სხვა დარგების განვითარებით. სერგეი ბაღაფშმა და თვითაღიარებული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა უპასუხეს სტუმრების მიერ დასმულ კითხვებს.

ინფორმაცია

## ვის აირჩევენ ამერიკელები სამომავლოდ?

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, აშშ-ს მხრიდან ერთდროულად რამდენიმე ქართულ პოლიტიკურ პარტიასთან ურთიერთობა სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ვაშინგტონი რომელიმე მათგანზე ფსონს გააკეთებს.

„ეს ამერიკული სტილია. თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეც ამერიკელთა უდიდესი მხარდაჭერით ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ კარგად მახსოვს, შევარდნაძის მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან ამერიკის საელჩო ოპოზიციაში შევარდნაძის სავარაუდო მემკვიდრეს ეძებდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია შევარდნაძისთვის, რომ ათ წელზე მეტ ხანს ყოფილიყო ქვეყნის მმართველი. ასეა ახლაც — მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება გვყავს, ამერიკელები ოპოზიციაში მაინც ეძებენ თეორიულ მემკვიდრეს და ამიტომაც ეკონტაქტებიან რამდენიმე პარტიას. მაგრამ ეს ჯერჯერობით რაიმე ფორმის პოლიტიკურ მხარდაჭერას არ გულისხმობს არც რესპუბლიკელებისადმი, არც ნათელაშვილისადმი და არც სხვა რამელიმე პარტიისადმი“, — განუცხადა „მედია-ნიუსს“ რამაზ საყვარელიძემ.

ცნობისთვის: მმართველ პარტიასთან ერთად, დღეს აშშ-ს პოლიტიკურ წრეებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ „მემარჯვენეებს“, რესპუბლიკელებს, ლეიბორისტებს და „მომავლის მთავრობას“.

## ტრანსპორტი შემოვლითი გზით იმოძრავებს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მობილიზებულმა მძიმე ტექნიკამ შემოვლითი გზა გაწმინდა. დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელ მონაკვეთზე პირველი ავტობუსიც დაინიშნა. ავტობუსი რეისებს ქურთა-ერედვის მიმართულებით შეასრულებს. მგზავრობა უფასო იქნება.

ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებას შერეული სამშვიდობო ძალები უზრუნველყოფენ. ახალი ავტობუსით მოსახლეობასთან ერთად შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმაც იმგზავრა.

„რადგან ცხინვალის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი ჩაკეტილია, ჩვენ დროებით დავნიშნეთ ავტობუსი. ტრანსპორტი შემოვლითი გზით მოემსახურება დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ყველა იმ ადამიანს, რომელსაც დანარჩენ საქართველოსთან კავშირი დასჭირდება“, — აცხადებს მიხეილ ქარელი.

## ვის უნდა აწუხებდეს ჩვენი გარემოს ბედი და ვის აწუხებს...

ცნობილი ინგლისური გაზეთის “The Guardian” ცნობით, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლეიბორისტი წევრი, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი (1997-2003 წლებში) მაიკლ მიჩერი „ბრიტიშ პეტროლეუმს“ ადამიანის უფლებათა დარღვევაში, ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის აშენების შედეგად მოსახლეობისთვის ეკოლოგიური ზარალის მიყენებაში ადანაშაულებს.

მაიკლ მიჩერს ეჭვი შეაქვს „ბრიტიშ პეტროლეუმის“ განცხადებაში, რომ კომპანიამ გარემოს დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებათა სფეროში ახალი საერთაშორისო, ეტალონური ტესტი შეიმუშავა.

ბრიტანელი პარლამენტარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გარერევიზიის დაუყოვნებლივ დაწყებასა და პროექტის დისპეტჩერული ხელმძღვანელობის გასამართლებას მოითხოვს.

მაიკლ მიჩერი მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობაში რეფორმების გატარებას აუცილებელ პირობად ასახელებს, რათა ამ კომპანიებმა ვალდებულება აიღონ სოციალური, მოქალაქეობრივი უფლებების დაცვაზე და გარემოს ზიანი აღარ მიაყენონ.

ამასთან, ბრიტანელი დეპუტატის აზრით, კომპანიები იურიდიულად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი უცხოეთში მათი ფილიალების მუშაობაზე, რათა უცხო ქვეყნების მომჩივან მოქალაქეებს საშუალება მიეცეთ, მიმართონ ბრიტანეთის სასამართლოს.

## უშველის საქმეს ახალ საპყრობილეებში გადანაწილება?

პარლამენტის ადამიანთა უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ცემის ფაქტებზე იმსჯელეს.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლალი ფაფიაშვილის განცხადებით, ზემოხსენებული ფაქტების გახშირების მიზეზი პენიტენციალურ დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტებაა.

„2003 წელს პატიმართა ცემის 485 ფაქტი დაფიქსირდა, 2004 წელს კი 385. დღეისთვის გაიზარდა რეგისტრაციის შემთხვევები. ამჟამად თბილისში პატიმართა უფლებების დარღვევის 261 ფაქტია დაფიქსირებული, რეგიონებში კი — 181. რაც შეეხება დაკავებულთა ცემის ფაქტებს, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვაკე-საბურთალოს რაიონშია, შემდეგ მოდის დიდუბე-ჩუღურეთი და გლდანი-ნაძალადევი. სამწუხაროდ, ყველა ფაქტი არ რეგისტრირდება“, — განაცხადა ლალი ფაფიაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა ზემოხსენებული დარღვევების მთავარ მიზეზად საპყრობილეების გადატვირთვა დაასახელა.

„განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა №1 საპყრობილეში, თუმცა ჩვენ უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ქალთა კონტინგენტის, არასრულწლოვნების და ადმინისტრაციული პატიმრების ახალ საპყრობილეებში გადანაწილებას. გარდა ამისა, შეიქმნება საზოგადოებრივი კომისიები, რომლებიც გააკონტროლებენ საპყრობილეებს“, — განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

## რისთვის მოიკლა თავი რეზერვისტმა?

კახეთის საველე ბანაკის რეზერვისტმა ნიკო ყიფიანმა საკუთარი სანადირო თოფით თავი მოიკლა. 29 წლის ნიკო ყიფიანი ბანაკიდან სახლში საკუთარი ინიციატივით დაბრუნდა და რამდენიმე საათში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

თვითმკვლელობის მიზეზების დადგენაზე საგარეჯოს პოლიცია მუშაობს. როგორც „მედია-ნიუსს“ საგარეჯოს პოლიციის უფროსმა რამაზ ხატიაშვილმა განუცხადა, „გამოძიება ამუშავებს თვითმკვლელობის ვერსიას“.

ნიკო ყიფიანი საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის მკვიდრი იყო. სოფლის მოსახლეობა მას ნიჭიერ და გაწონასწორებულ ახალგაზრდად ახასიათებს.

როგორც გარდაცვლილის მამა ენეფე ყიფიანი აცხადებს, ნიკოს დაბრუნების მიზეზად ის დაუსახელებია, რომ რეზერვისტთა ბანაკში იგი მზარეულის თანაშემწედ დაუნიშნავთ, რაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მედია-ნიუსი.

სპეციალისტის აზრი

# სადაც აღურიცხაობაა, იქ დანაკლისიც მეტია

## ბრძანებულება, რომელიც ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების გაუკონტროლებელ ხარჯვას

**პირდაპირ კითხვით დავიწყებ: დღეს საჭიროა თუ არა მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო ნორმატივი? შეიძლება ზოგს უცნაურად ეჩვენოს ასეთი კითხვის დასმა, მაგრამ როცა საკითხის ირგვლივ დავაა, იგი უეჭველად გადაჭრას მოითხოვს.**

სახარჯთაღრიცხვო ნორმატივი — ეს არის განზოგადებული წოდება ნორმების კომპლექსისა, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სამშენებლო პროდუქციის მშენებლობის ღირებულების განსაზღვრის საფუძველია.



მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — ეს არის საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების აშენებისათვის საჭირო ფულადი სახსრების ჯამი.

მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ბაზები ქვეყნის ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად იცვლება ისე, რომ წინათ მიღებული ნორმატივები აღარ შეესაბამება ქვეყნის ამჟამინდელ ფაქტობრივ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამიტომაც, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ოქტომბრის №470 ბრძანებულებით შეიქმნა მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმატივების მოსამზადებელი საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც დაამტკიცა სამოქმედო დებულება.

2002 წლის 29 დეკემბერს გამოიცა პრეზიდენტის №553 ბრძანებულება „მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმატიული ბაზის შექმნის შესახებ“. ქვეყანაში პრაქტიკულად დაიწყო ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასვლა. ცენტრალიზებული წესით დადგენილი ფასები შეიცვალა თავისუფალი (საბაზრო) ფასებით. მშენებლობაში თავისუფალი ფასების ფართოდ დანერგვაში აქტიურად ჩაება საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ დაამუშავა და სამოქმედოდ დაამტკიცა დროებითი მეთოდური მითითება „მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ“.

1998 წლიდან საქართველოში სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ისაზღვრება თავისუფალი (საბაზრო) ფასებით.

მომზადებული იყო თეორიული ბაზა და კადრები, რომ მშენებლობაში დაგვეჩქარებინა მუშაობა ახალ სახარჯთაღრიცხვო პირობებზე გადასვლისათვის. განხორციელდა ექსპერიმენტი, მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ბაზის საფუძველზე ნორმატივების გამოსაშვებად, რომელიც დააკმაყოფილებდა კომპიუტერული ტექნიკის პროგრამებს.

მშენებლობის ახალი სახარჯთაღრიცხვო ბაზით რეკომენდებულია ხარჯთაღრიცხვის ფორმა. გარდა იმისა, რომ იგი მშენებლობის დანახარჯებზე ადვილად იძლევა გამჭვირვალე წარმოდგენას და გამორიცხავს დარგში ჩრდილოვანი გარემოს შექმნის შესაძლებლობას, მარტივია მშენებლობაში ახალი პროგრესული სისტემის გადასახადების გაანგარიშებისათვის.

მიგვაჩნია, რომ ყოველი საკითხი, რომელიც მშენებლობის ახალი ნორმატიული ბაზის შექმნასთან არის დაკავშირებული, უნდა წყდებოდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მშენებლობისა და ურბანიზაციის დეპარტამენტთან შეთანხმებით, ამ უკანასკნელმა კი საკითხის გადაწყვეტაში უნდა ჩართოს სხვადასხვა სამშენებლო საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები. დღეს რეალურად კი ნებისმიერ არქიტექტურულ-სამშენებლო საკითხს წყვეტენ არა პროფესიონალები, არამედ შემთხვევითი პირები, რომლებსაც არავითარი შეხება არ ჰქონიათ და არც აქვთ სამშენებლო საქმიანობასთან.

ამას ხელი შეუწყო პრეზიდენტის 2005 წლის 4 აპრილის ბრძანებულებამ, რომელმაც გააუქმა 2000 წლის 15 აპრილის ბრძანებულება „სამშენებლო სამუშაოებისათვის სახსრების ეფექტურად გამოყენების მიზნით სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის განმტკიცების შესახებ“, რომელშიც ასახული იყო ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის ზუსტად აღრიცხვისა და სახელმწიფო ბიუჯეტში მშენებლობის სფეროდან დამატებითი შემოსავლის რეალური წყაროების განსაზღვრის ღონისძიებები.

თითქოს ჩვენს ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო და ამ დროს პრეზიდენტის 2005 წლის 4 აპრილის ბრძანებულება გზას უხსნის საბიუჯეტო სახსრების აღურიცხავ ხარჯვას, რაც აბსოლუტურად გაურკვეველს ხდის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკას კორუფციის აღმოფხვრის მიმართულებით.

მშენებლობაში კი აღრიცხვიანობის ერთადერთი ძირითადი დოკუმენტია მშენებლობის ღირებულების ხარჯთაღრიცხვა. მშენებლობა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია და მსოფლიოში მას ტყუილად როდი უწოდებენ დარგების ლოკომოტივს. მრავალ ქვეყანას დაუღწევია თავი მძიმე ეკონომიკური კრიზისისთვის მშენებლობის დარგის წინ წამოწევით.

საქართველოში ამჟამად არ არის სამსახური, რომელიც სათავეში ჩაუდგება მშენებლობაში ახალი სახარჯთაღრიცხვო ნორმატიული ბაზის შექმნას. ეს საკითხი მეცნიერულ დონეზე მთავრობის გადასაწყვეტია.

**დავით გუგავა,**
**მშენებელი ინჟინერი.**

სატკივარი

# ბიზნესის წამოწყებას ბიუროკრატია აფერხებს

**ხშირად გაიგონებთ — ვის სჭირდება ახალი აეროპორტი, როდესაც გაჭირვებული ხალხი ნაგავში იქექება. მთავარია, სამუშაო ადგილები შეიქმნას და ხალხს ლუკმაპურის შოვნის საშუალება მიეცეს, რაც მცირე საწარმოების შეუქმნელად შეუძლებელიაო.**

**მართლაც, ბევრს უნდა, წამოიწყოს ბიზნესი, მაგრამ გზაზე იმდენი დაბრკოლება ხვდება, აღარ იცის, რა ქნას, დიდი წვალების შემდეგ ხელს ჩაიქნევს და ისევ უსაქმოდ დაეხეტება.**

**მაინც რა უშლის ხელს ჩვენთან ბიზნესის განვითარებას? ეს კითხვა ხშირად ისმის, მაგრამ პასუხი არაერთგვაროვანია. კარგია, რომ ამ პრობლემით, როგორც იქნა, მთავრობაც დაინტერესდა და იგი საჯარო განხილვის საგნად აქცია.**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ინვესტიციების და ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტომ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო სამსახურმა (FIAS) ორდღიან შეხვედრაზე მიიწვიეს სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები და ეს პრობლემა ერთობლივად განიხილეს.

საქართველოში გამოკითხული კომპანიების 44 პროცენტმა ბიზნესის წამოწყების ხელშემშლელ პრობლემად ლიცენზირების და ნებართვების გაცემის გართულებული პროცესი დაასახელა. მოდით, მივცეთ საშუალება, ადამიანმა წამოიწყოს ბიზნესი და მერე, თუ ვერ ივარგებს, თავის თავს დააბრალოს. იქნებ ისეთი ფხა გამოიჩინოს, სამუშაო ადგილები შექმნას და სხვებსაც სიხარული მიანიჭოს. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით შეფერხებულია.

საგარეო ვაჭრობით დაკავებული მცირე და საშუალო საწარმოების 65 პროცენტი კვლავ საბაჟოს ემდურის. ამ სფეროში მომხდარი ერთგვარი ძვრების მიუხედავად, ბოლო დროს მომსახურების ხარისხი და გამჭვირვალობის დონე ისევ გაუარესდა. კომპანიების 80 პროცენტზე მეტი საბაჟო პროცედურების სირთულეს ასახელებს — როგორც მნიშვნელოვან ბარიერს იმპორტის განხორციელების პროცესში. მაღალი საბაჟო გადასახადი, საქონლის ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები და ინფორმაციის ნაკლებობა მნიშვნელოვნად აფერხებს წარმატებულ ვაჭრობას. საბაჟო პროცედურების შესახებ სრული ინფორმაციის არსებობა, საქონლისთვის ერთსარკმლიანი რეგისტრაციის შემოღება და ბიზნეს-საზოგადოების ჩართვა რეფორმის პროცესში ხელს შეუწყობს უფრო ეფექტური საბაჟოს შექმნას.



უსაფრთხოების თვალსაზრისით სერტიფიკატის გაცემა აუცილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის სამსახურები კვლავაც საბჭოთა სტანდარტებს და სერტიფიკატებს იყენებენ, რომლებიც აფერხებენ ექსპორტ-იმპორტის განვითარებას. შეხვედრის მონაწილეთა თანახმად, სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული საქონლის რაოდენობის შემცირება დადებით გავლენას იქონიებს კერძო სექტორის განვითარებაზე.

ბიზნესს კვლავ უამრავი შემმოწმებელი ავიწროებს. ხშირად გაურკვეველია ცალკეული შემმოწმებელი ორგანოების უფლებამოსილება და მანდატი. შემოწმებების შედეგი უმეტესწილად დაჯარიმებაა. გამოდის, რომ მათ დამრღვევის დასჯა აინტერესებთ და არა საზოგადოების უსაფრთხოება. ამიტომაც ერთობლივი რეკომენდაცია ითვალისწინებს სამთავრობო შემმოწმებელი ორგანოების როლისა და ფუნქციის მკაცრ განსაზღვრას და ფუნქციათა პარალელიზმის აღმოფხვრას. თითოეული შემმოწმებელი ორგანოს მანდატის მკაფიო განსაზღვრა შეამცირებს ზედმეტ დაწესებულებათა რაოდენობას.

განხორციელებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ რეგიონებში სამშენებლო კომპანიები ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილნი. ეს იმიტომ, რომ არ არსებობს საერთო არქიტექტურული გეგმა. უამისოდ კი თითოეული მშენებლობა განიხილება, როგორც ცალკეული შემთხვევა, რაც კორუფციის შესაძლებლობას ზრდის. შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება რეგიონებში საერთო არქიტექტურული გეგმის შექმნის თაობაზე.

ამ პრობლემის თაობაზე აზრი გამოთქვა ტანია ლოზანსკიმ — საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების პროექტის უფროსმა, საოპერაციო მენეჯერმა. — მინდა გითხრათ, —თქვა მან,— რომ ადმინისტრაციული პროცედურების რეფორმა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მზად არის, თავისი მდიდარი გამოცდილებით დახმარება გაუწიოს საქართველოს მთავრობას არსებული ადმინისტრაციული სისტემის ნაკლოვანებების გამოსწორებაში.

ბიზნესის უმთავრეს პრობლემად კვლავ საკმაოდ რთულად პროგნოზირებადი გარემო რჩება. ის საგადასახადო კოდექსი, რომელიც მივიღეთ ბიზნესმენებისთვის, არცთუ ისე მოსაწონია, მათ აღელვებთ საგადასახადო კოდექსის ბუნდოვანება. მიმაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის როგორც ცოცხალი ორგანიზმის გამარტივება და ზოგიერთი მუხლის შეცვლა ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს. კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს მთავრობამ დაიწყო დიალოგი ბიზნესმენებთან. იმედია, ეს კომუნიკაციები აღარ დაირღვევა და ერთობლივი სამოქმედო გეგმით ბევრს მივაღწევთ. მოსაგვარებელია არბიტრაჟის საკითხი, ამაზეც უნდა ვიზრუნოთ.

**ლალი ქინქლაძე**

ახალი პოლიტიკური ისტორია

# BLUFF

(მესამე გვერდიდან)

ამგვარი ბლეფის კლასიკური ნიმუში გახლდათ მაისის ბოლოს დიდი ზარზეიმით გამართული „კონკურსი“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შესარჩევად. გამოცხადდა პირობებიც (ასაკი 25 წელზე მეტი, უპარტიობა, სამუშაო გამოცდილების ქონა, ქართული ენის ცოდნა). ექვსიოდე ვაკანსიაზე პრეტენზია ხუთასამდე ადამიანმა განაცხადა.

კონკურსის მონაწილეთა მონაცემები უნდა შეესწავლა რომელიღაც საიდუმლო ჟიურის. შემდეგ 15-კაციანი სია წარედგინა პრეზიდენტისათვის, პრეზიდენტს – პარლამენტისათვის, რომელიც, ხმათა უმრავლესობით დაამტკიცებდა იმ ექვს „პროფესიონალს“.

სინამდვილეში ყველაფერი გადაწყდა გაცილებით იოლად, სწრაფად და გენიალურად: პრესაში კონკურსის მონაწილეთა გრანდიოზული სიის თითქმის გამოქვეყნებისთანავე, პრეზიდენტმა სასწრაფოდ დაასახელა ცესკოს მთელი შემადგენლობა და პარლამენტს წარუდგინა. იმანაც დაამტკიცა.

საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის „კონკურსული“ წესი, დემოკრატიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ისედაც ირონიულად გამოიყურება, მაგრამ ხელისუფლებამ, ყოველგვარი შემთხვევითობის გამორიცხვის მიზნით, თვით ბლეფის წესებზეც კი უარი თქვა. ანუ კონკურსში მონაწილე 500-მდე გულუბრყვილო მოტყუებასთან ერთად, გაამასხარავა კიდეც. თანაც, საჯაროდ და თავხედურად – საიდუმლო ჟიურიმ წინასწარ იცოდა „მაღალპროფესიული ნიშნით გამარჯვებულთა“ ვინაობა. ბლეფი ბლეფად, მაგრამ ამხელა კონკურსის მოსაწყობად საჭირო თანხების წყალში გადაყრა რა საჭირო იყო, ის ვერ გავიგე. ამ შემთხვევაში ხომ ჩვენი, მაყურებელთა მოტყუება ერთი წუთითაც ვერ მოხერხდა?!

საინტერესოა, რომ არც ერთი აშკარა ე.წ. პოლიტიკური ბლეფისთვის მის ავტორებს ვერმოტყუებული საზოგადოებისთვის ბოდიში არ მოუხდია. თვით „ჭიაბერაშვილის სამკუთხედისა და თბილისის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან თანამდებობებზე „გარკვეული გამოცდილების“ მქონე ნარკომანების დანიშვნისთვისაც კი.

კიდევ ერთ ბლეფ-კონკურსზე მოგახსენებთ და ამით დავამთავრებ. თუ არ ვცდები, წლეულს, აპრილის ბოლოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ (თავმჯდომარე – გიორგი მელაძე) პერიოდული საინფორმაციო საშუალების შერჩევის მიზნით, გამოაცხადა კონკურსი. იგი ითვალისწინებდა იმ საინფორმაციო საშუალების, კერძოდ, ქართულენოვანი გაზეთის გამოვლენას, რომელიც შედარებით იაფად გამოაქვეყნებდა სახელმწიფო ორგანიზაციების სატენდერო განცხადებებს...

ამ მიზნით, როგორც წესი და რიგია, შექმნილა „პერიოდული საინფორმაციო საშუალების შემრჩევი საკონკურსო კომისია“. ვინაიდან გასაიდუმლოებული არ ყოფილა, გაგაცნობთ კომისიის პირად შემადგენლობასაც: გიორგი მელაძე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, ინგა გრიგოლია – ტელეჟურნალისტი, ნათია ზამბახიძე – ტელეჟურნალისტი, თაკო ფხაკაძე – ტელეჟურნალისტი და მერაბ ბასილაია, წარსულში მშვენიერი



ჟურნალისტის, შემდეგ „თავისუფლების ინსტიტუტის“ თანამშრომლის, ამჟამად ყბადაღებული „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, თამრიკო კინწურაშვილის მეუღლე (ქართული პრესის წინაშე ამ ბატონს უეჭველად სხვა დამსახურებაც ექნება, რაც, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია).

ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რატომ არის ბატონი მელაძე ამ კომისიის თავმჯდომარე (ალბათ, თანამდებობრივად, სააგენტოს მიერ გამოცხადებული ყველა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა თუ ევალება). გაუგებარია, ვინ და რა კრიტერიუმით შეარჩია კომისიის დანარჩენი წევრები. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ ამ მშვენიერ ქალბატონებს (ინგა, ნათია, თაკო) გაზეთის გამოშვებასთან, საგაზეთო ბიზნესთან, ან... შესყიდვების სააგენტოსთან. ბატონ ბასილაიაზე უკვე მოგახსენეთ – იგი კომისიაში ერთადერთია, ვისაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ქართული პრესის ერთ მშვენიერ წარმომადგენელთან.

ახლა კონკურსის ორპუნქტიან „პირობებზე“: გაზეთი უნდა იყოს ყოველდღიური, ჰქონდეს გავრცელების სათანადო არეალი და მეორე – სახელმწიფო შეკვეთები შეასრულოს რაც შეიძლება იაფად.

კონკურსს საბოლოოდ გამარჯვების ორი პრეტენდენტი შემორჩა – წინა ხელისუფლების ფავორიტი „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც მანამდე ოფიციალური განცხადებების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლებით სარგებლობდა და ახალი ხელისუფლების ფავორიტი „24 საათი“, რომელიც იბრძვის ყველა იმ სიკეთის დასაჩემებლად, რაც მას „ვარდების რევოლუციის“ წინაშე დამსახურებით ეკუთვნის. ანუ, გაზეთი „24 საათი“ იბრძვის „სახელისუფლოს“ საპატიო ტიტულის მოსაპოვებლად. როგორც მოგახსენეთ, კონკურსის მთავარი კრიტერიუმი იყო ფასი. ამ მხრივ, აშკარა უპირატესობა უფრო გამოცდილი „საქართველოს რესპუბლიკის“ მხარეს აღმოჩნდა: 10 თეთრი საგაზეთო ფართის ერთი კვადრატული სანტიმეტრისთვის, „24 საათის“ მიერ შეთავაზებული 21 ცენტის (ანუ ლამის 40 თეთრის) წინააღმდეგ.

სახელმწიფო ხაზინის შევსებაზე ზრუნვით გულანთებული ბატონი მელაძე თვალის დაუხამხამებლად უნდა დათანხმებულიყო ამ მომხიბლავ პირობას, მაგრამ მოხდა საოცრება – გაიმარჯვა იმ პრეტენდენტმა, ვინც თავისი სამსახური ბატონ მელაძეს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტს ოთხასი პროცენტით უფრო ძვირად დაუფასა. ოფიციალური მოტივი გაუგებრობის ასახსნელად დაახლოებით ასეთია: „24 საათს“, თურმე, შეუძლია განცხადებების უცხო ენებზე თარგმნა და გამოქვეყნება.

ბატონ მელაძესთან, მით უფრო, ინგასთან, თაკოსთან, ნათიასთან და პრესასთან დაახლოებულ ბატონ მერაბთან კამათს სულაც არ ვაპირებ. მხოლოდ ერთ ძალიან უბრალო ჭეშმარიტებას ვიტყვი: ძვირფასო ჟიურის წევრებო, მომავალში არსად, არასოდეს, არავისთან არ წამოგცდეთ ნებისმიერ რედაქციაში მიტანილი სარეკლამო მასალების დამოუკიდებლად თარგმნის შესახებ. უბრალოდ, დაგცინებენ. არც ერთი ქვეყნის არც ერთი გაზეთის რედაქცია ასეთ ბრიყვულ წინადადებას არც ერთ კლიენტს არ მისცემს. მით უფრო, თუ ეს კლიენტი სახელმწიფოა. თანაც, ჩემო ძვირფასებო, თარგმნის შესახებ რომ კონკურსის პირობებში არაფერი გითქვამთ? საიდან უნდა სცოდნოდა თქვენი გულისნადები იმ ბედკრულ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც, თქვენი ფავორიტი „24 საათისგან“ განსხვავებით ბიუჯეტის მხარდასაჭერად ტყავში ძვრება?

თუ არ ვცდები, „განცხადებების საქმე“ უკვე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ ვისაც უნდა დავენიძლავები, „მელაძის და კომპანიის“ გადაწყვეტილება არ შეიცვლება. სასამართლო გამოაცხადებს, რომ ამის გამო და აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს რა ამას და ამას, ამა და ამ კანონის ამა და ამ მუხლის თანახმად, ორმოცი ნაკლებია ათზე.

შეიძლება საქმე სასამართლომდე არც მივიდეს. სამაგიეროდ, „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში მივიდეს ვინმე ახალგაზრდა, ჰალსტუხიანი რევოლუციონერი და გაზეთის ხელმძღვანელობას მომხიბლავი ღიმილით აუწყოს: ერთი ადგილის თამაშს თავი დაანებეთ, ორმოცი რომ ათზე ნაკლებია, თავში შეუშვით, თორემ კეზერაშვილის გმირ ბიჭებს თქვენზე იმდენი მასალები აქვთ...

**სახელისუფლებო ბლეფი, ესეცა და სხვაც, როგორც წესი, მწარედ უბრუნდება თავად ხელისუფლებას და, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების პირველ პირს – პრეზიდენტს. არა მგონია, მელაძისთვის პრეზიდენტს დაევალებინოს, ასე უსინდისოდ იცრუეო. ალბათ, თვითონ ბატონი გიორგი მელაძე და სხვა მელაძეები ცდილობენ მთლიანად ხელისუფლებისთვის და პირადად პრეზიდენტისთვის სახელის გატეხას. ან არ იციან, რომ ბლეფი არის ძალიან მოკლეფეხება ტყუილი, რომელიც თამაშის (საკონკურსო კომისიის სხდომის) დამთავრებისთანავე მჟღავნდება, მაგრამ მაშინვე არ მთავრდება.**

**თეიმურაზ ქორიძე**

P. S. **...მაშინ, უხსოვარ დროს, კაენმა არ იცოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ უფლის მოტყუება შეუძლებელია.**

**თ. ქ.**

ჩემი უნივერსიტეტელები

# როგორ იქცა ასანა ნადირაძე გიორგი ნადირაძედ



**ასანა ნადირაძეს თუ ნამდვილი სახელი – გიორგი ერქვა, აგერ, ამ რამდენიმე წლის წინათ გავიგე. ბეჭდვას რომ მოუხშირა საქართველოს ისტორიის და ეროვნული მოძრაობის საკითხებზე, თითქოს, რაღაც ვიმცხეთე, ერთ-ერთ საერთო ნაცნობს ვკითხე და იმანაც – „ასანაა ბიჭო მაგი, ჩვენი ცალხელა ასანაო“.**

„ჩვენი ცალხელა ასანა“ ორმოცდახუთი წლის წინათ გავიცანი დედაუნივერსიტეტის უმშვენიერეს ბაღში. მე ეს ესაა ჩამოვედი მაღლაკიდან, ჩვიდმეტი წლის ლლაპი ვარ და, რა დამავიწყებს, ჩემზე გაცილებით უფროსებმა უმალ თავის წრეში მიმიღეს. იჯდა ძელსკამზე შოთა ჩანტლაძე, ეშმაკები უკრთოდა თვალებში, „პრიმას“ ეწეოდა და გულისყურით უსმენდა მის გარშემო შემოკრებილ მოკამათეებს. კამათი კი ფეხბურთზე იყო, ცხადია, სამოციანი წლებია, დინამო „გლეჯს“ ყველაფერს, ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ გუნდში. ჰოდა, იყო გაუთავებელი კამათი „მესხისტებს“, „სიომისტებს“, „სლავისტებს“, „შოთისტებს“... შორის, ყველას თავისი კერპი ჰყავდა, რომელსაც სხვებს ამჯობინებდა და ამის დამტკიცებას თავგამოდებით ცდილობდა.

მე მესხი მერჩივნა ქვეყანას და აღმოჩნდა, რომ ასე იყო ასანაც – ცალხელა ასანა – მაღალი, ჯანმრთელი, მრგვალი, ლამაზი პირ-სახე და საცრისხელა თვალები რომ ამშვენებდა. ის რომ ჩაერეოდა კამათში, დამთავრებული იყო საქმე – მესხისტები უმალ ვიმარჯვებდით. „კარგით, მორჩით, ნუ გააჭირეთ საქმე, მესხი მოვლენაა!..“ იტყოდა ფოლადნარევი ხმით, საკმაოდ უხეშად, ოდნავ ზემოიმერული კილოთი და უკვე სხვა თემაზე გადაჰქონდათ საუბარი მოკამათეებს.

დააბიჯებდა ასანა ჩამოქანდაკებული, მარცხენა ცარიელ სახელოს მიაქანავებდა (დღესაც არ ვიცი სად, როგორ დაკარგა ეს ხელი), მაგრამ მარჯვენასაც ისე ხმარობდა, გაგიკვირდებოდათ. დღემდე ლეგენდად დადის, როგორ იჩხუბა ერთხელ (განა ერთხელ?) ცალი ხელით, როგორ მიბეგვა ორი „ვერზილა“ და მილიციაში ვერაფრით დაიჯერეს, ეს ცალხელა კაცი, როგორ გაგლახავდათ, თქვე მათხოვრებოო... დამრტყმელის სახელი ჰქონდა, მაგრამ სამართლიანი იყო და, რამდენადაც ვიცი, ასეთი დარჩა დღემდე, არ ჩაჭრილა, სული არ გაუყიდია.

...შვიდი და-ძმანი იყვნენ ნადირაძეები. გასაკვირია, აბა, რა არის: შვიდივე ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი გახდა... არქეოლოგი, იურისტი, ისტორიკოსი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ – მთელ საქართველოში დაფასებული და ცნობილი ხალხი. ამ ჩვენ ასანას სულ სხვა კოლორიტი ჰქონდა, გამორჩეული იყო თბილისში – კაი მომლხენი და თამადა, პოეზიის თაყვანისმცემელი და, საჭიროებისას, სწორუპოვარი დამრტყმელი (ცალი ხელით, არ დაგავიწყდეთ).



მაგრამ, ამასთან ერთად ასანა ნადირაძე, თურმე, საათობით იჩხრიკებოდა საქართველოს ისტორიის ანალებში, რესტორანში თუ გრიალებდა, არც ბიბლიოთეკაში ჯდომა აკლდა. თანდათან შესანიშნავ ისტორიკოსად და სტუდენტების საყვარელ ლექტორად ჩამოყალიბდა.

გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი... დღეს სამოცდაათს გადაცილებული გიორგი შალვას ძე ნადირაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორია, ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის ლაურეატია, 6 წიგნის და მრავალი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური წერილის ავტორია, რომელთაც ინტერესით ეცნობა არამარტო სამეცნიერო საზოგადოება.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამ ბოლო დროს რამდენჯერმე საგანგებოდ ამოვიდა რედაქციაში და გულითადი წარწერით მისახსოვრა ბატონმა გიორგიმ თავისი ახალგამოცემული წიგნები. ასე იყო ამჯერადაც – ახალთახალი წიგნი ამოიტანა – **„მე სტუმარი ვარ დედამიწაზე“.**

ეს არის მოგონებების და წერილების კრებული, რომელშიც ერთი მოთხრობა და რამდენიმე ლექსიც შეუტანია ავტორს...

და იგონებს გიორგი (ასანა) ნადირაძე გალაკტიონს, ზვიად გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძეს, გურამ რჩეულიშვილს, ზაურ ბოლქვაძეს, იორამ ქემერტელიძეს, ვოვა სიხარულიძეს, ჯანსულ კახიძეს, შოთა მესხიას, ძმას – არქეოლოგს, მიწისქვეშა საქართველოს მესაიდუმლეს – ჯურხა ნადირაძეს და სხვებსა და სხვებს, მისთვის (არა მარტო მისთვის) უძვირფასეს ადამიანებს,.. გვთავაზობს პუბლიცისტური მგზნებარებით დამუხტულ წერილებს, შესანიშნავ მოთხრობასა და ლექსებს, რომლებიც, ძირითადად, მის სათაყვანებელ შვილიშვილს სალომეს ეძღვნება.

ახლა ვნახოთ, რას წერს ამ წიგნის შესავალში გურამ დოჩანაშვილი: „...თქვენი მხატვრული სიტყვისმიერი შემოქმედება იმის ნათელი დასტურია, რომ არავითარ ძნელბედობას არ უნდა შევურიგდეთ, ასე მშვენივრად უნდა ვქმნათ, ვქმნათ...

...შენს წიგნს, ჩემო ასან, სკოლის გარეთა და ოჯახის გარეთა კი არა, არამედ ბავშვების მშობლებისთვის ოჯახში ყოველდღიურად წასაკითხ წიგნად შევრაცხდი“.

ახლა იქვე გოდერძი ჩოხელს მოვუსმინოთ: „მომეჩვენა, რომ ავტორი უბრალოდ კი არ იხსენებს ძვირფას მამულიშვილებს, არამედ თითქოს ანთებული სანთლით ხელში დგას და ხატის წინ ლოცულობს.

ეს ლოცვა გამთბარია სიყვარულითა და დიდი პატივისცემით“.

აბა, ჩვენი ბრწყინვალე პროზაიკოსების სიტყვებს მე რაღა დავუმატო?!. გმადლობთ ძვირფასო ასანა – გიორგი იმ სიამოვნებისთვის, რაც თქვენმა წიგნმა მომანიჭა.

ჯანმრთელობის გაკვეთილები

# მთავარია, ვიპოვნოთ ავადმყოფობის მიზეზი

**სარედაქციო ფოსტაში მრავალი წერილი მოდის, რომელთა ავტორებს აინტერესებთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. ეს არც არის გასაკვირი – მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხომ ძალიან ხშირად არ არის ხელმისაწვდომი მეცნიერთა და პრაქტიკოს ექიმთა რჩევა-დარიგებანი.**

**ამის გათვალისწინებით, „საქართველოს რესპუბლიკა“ რუბრიკით „ჯანმრთელობის გაკვეთილები“ – მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით სისტემატურად შემოგთავაზებთ კვალიფიციურ მედიკოსთა კონსულტაციას.**

**შეკითხვაზე: „რა იწვევს გოგონებში ჭარბთმიანობას და შეიძლება თუ არა მისგან განკურნება“, გთავაზობთ ი. ჟორდანიას სახელობის რეპროდუქტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ ჯენარო ქრისტესაშვილის კომენტარს.**



– ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომლებიც გოგონებს სქესობრივი გარდატეხის პერიოდში აწუხებთ, ჭარბთმიანობაა.

ეს პრობლემა ადრეც არსებობდა, მაგრამ ბოლო წლებში ისინი თავიანთი გარეგნობის მიმართ განსაკუთრებით „მომთხოვნები“ გახდნენ, ვინაიდან გარეგნობის შეცვლის მრავალი საშუალება გაჩნდა. ეს ეხება სიმსუქნესაც, ჭარბთმიანობასაც და სხვა. არადა, ჭარბთმიანობისა და პათოლოგიით გამოწვეული სიმსუქნის გამო გოგონას ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონზე უუარესდება ჭარბთმიანობის გამომწვევი ჰორმონალური დარღვევები. ასე იქმნება მანკიერი წრე. ასეთ დროს იგი კოსმეტოლოგთან კი არა, ექიმ-სპეციალისტთან უნდა მიიყვანონ.

გარდატეხის ასაკში გოგონებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება უჭირთ, ასეთ დროს მათ, თუ ისინი მეგობრების ან ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელი ადამიანის რჩევას აჰყვებიან,შეიძლება მცდარი ნაბიჯი გადადგან და ჭარბთმიანობის გამო პარსვა დაიწყონ ან ეპილაციას მიმართონ, რაც სრულიად მიუღებელია, რადგანაც ორივე შემთხვევაში უფრო ხშირი თმა ამოდის და თანაც უხეშდება. ეს კი შემდგომ მკურნალობას ართულებს და ახანგრძლივებს.

უნდა აღვნიშნო, რომ ზოგ შემთხვევაში მშობლები სცოდავენ და თავად მიჰყავთ შვილები ეპილაციაზე. ეს ყოვლად დაუშვებელია. სანამ ჭარბთმიანობის მიზეზი არ გაირკვევა, მათ ვერც ეპილაცია უშველით და მით უფრო – ვერც პარსვა – სულ ასე უნდა იწვალონ, და თანაც მოიშალონ ფსიქიკა და გაიუარესონ ჯანმრთელობა.

არსებობს ზომიერად გამოხატული ზედმეტთმიანობა, რაც კონსტიტუციური, ანუ მემკვიდრული (გენეტიკური) ხასიათისაა, ეს ჩვენი, კავკასიელების ნორმად ითვლება. მაგალითად, ჩრდილოელი ქალები კონსტიტუციურად ნაკლებთმიანები არიან. ჭარბთმიანობას იწვევს აგრეთვე ჰორმონალური დარღვევები (საკვერცხის პოლიკისტოზი, თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი დისფუნქცია, ტესტოსტერონის მომატება (როდესაც გოგონების ორგანიზმში ჭარბობს მამაკაცის ჰორმონები).

როგორც აღვნიშნე, ჩვენთან ნორმალური ჯანმრთელობის თითქმის ყველა ქალს აქვს ზომიერი თმიანობა, მაგრამ თუ ქალს თმიანობა დაეწყება მამაკაცისთვის დამახასიათებელ ადგილებში (მკერდი, კისერი, სახე) ეს შეიძლება საკვერცხის ან თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის დარღვევით, ნივთიერებათა ცვლის მოშლით იყოს გამოწვეული. ეს უკანასკნელი, ჭარბთმიანობის პარალელურად, სიმსუქნესაც იწვევს.

ამიტომ ვაფრთხილებ განსაკუთრებით ქალიშვილების მშობლებს, მკვეთრად გამოხატული ზომიერი და ჭარბთმიანობის გამო 13-14, გნებავთ, 17 წლის გოგონებს საპარსისა და ეპილაციისთვის ნუ გაიმეტებენ. თუ გოგონას ეს ზომიერი თმიანობა არ მოსწონს, მაშინ უწინარესად შესაბამის ექიმს დროულად უნდა მიმართოთ.

ასეთ შემთხვევაში ჭარბთმიანობის პარალელურად ყურადღება უნდა მიექცეს მასის (წონის) კორექციას. ჭარბთმიანობას ორგანიზმში ინსულინის მომატებაც იწვევს, რაც ფაქტობრივად სიმსუქნის მიზეზია, და უყურადღებობით შეიძლება დიაბეტი განვითარდეს. ყველა შემთხვევაში, თუ ჯერ მიზეზს არ მივაკვლევთ მკურნალობა არასოდეს იქნება შედეგიანი. ამისთვის კი საჭიროა სათანადო გამოკვლევები.

ჩვენ გვყავს პაციენტები, რომლებმაც ეპილაციაში 250 ლარზე მეტი თანხა უშედეგოდ გადაიხადეს და ბოლოს მაინც ჩვენთან მოხვდნენ. შემდგომში კი აღმოჩნდა, რომ აუცილებელი დიაგნოზის დასადგენად მათ გაცილებით ნაკლები თანხა არ ემეტებოდათ იმის გამო, რომ ჩვენ მყისიერ განკურნებას არ ვპირდებით, ესე იგი არ ვატყუებთ პაციენტებს.

ზოგიერთი ვაიექიმი და კოსმეტოლოგი სწორ გზაზე არ აყენებს მოზარდს და მის მშობელს. რის გამოც მოზარდები ჩვენთან უკვე გართულებულ მდგომარეობაში მყოფი მოჰყავთ. და ეს მაშინ, როდესაც ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური განყოფილება მარტო საქართველოში კი არა, მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთია, სადაც მათ კვალიფიციური, დიდი გამოცდილების მქონე ექიმები მოემსახურებიან.

რჩევის სახით ერთხელ კიდევ მინდა მივმართო გოგონებს და მათ მშობლებს, მარტო გამოსაშვები საღამოს წინ კი ნუ დაიწყებთ სილამაზეზე ზრუნვას, არამედ, დროულად იფიქრეთ ამაზე, რითაც მართლაც შეინარჩუნებთ არა მარტო ხიბლსა და სილამაზეს, არამედ ჯანმრთელობასაც.

# როგორ გადაიპარა ჯემალ ქირია კანადიდან ამერიკაში და რა ჩამოიტანა უკან დაბრუნებულმა თბილისში

**დაპატარავდა მსოფლიო, გაიხსნა საზღვრები, მიდი-მოდის ხალხი, მობილურმა ტელეფონმა ხომ მთლად „ჩაახუტა“ ერთმანეთს ადამიანები. ჩემი ჯემალ ქირია – უნივერსიტეტელი და სტუდქალაქელი მეგობარი – ცნობილი პროზაიკოსი, შესანიშნავი რომანების ავტორი, ამ ბოლო ხანს თბილისში რომ ვერ ვხედავდი და მეგონა, მშობლიურ ზუგდიდში მოღვაწეობდა, მეწვია გუშინწინ და მეუბნება, რამდენიმე წელია ამერიკაში ვარ, შვილები მყავს იქ, წავედი, თან წიგნი გამოვეცი, მომეწყინა და სამშობლოსაკენ გამოვწიეო...**



***– მაგას რა სჯობს... მაინც, რა იყო წასვლის მიზეზი? –*** ვეკითხები.

– რა დაგიმალო, ვილენ და, ელემენტარულად, შიმშილს გავექეცი. თანაც, ნუ დაგავიწყდება, მწერალი ხანდახან საკუთარ სახლშიც ემიგრანტია. რაგინდ შორს წახვიდე, საკუთარ სამშობლოს ვერსად გაექცევი...

***– ვიზა გქონდა?***

– მე და ჩემ მეუღლეს – ორივეს გვქონდა ვიზა, ოღონდ – კანადის.

წავედით და მონრეალში ჩვენს უნივერსიტეტელ მეგობარს ამბაკო ჭკადუას ვესტუმრეთ. შენ მოგეხსენება ჩემი თავგადასავლები ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ჩინეთის საზღვარი რომ დავარღვიე და რამდენიმე წელიწადს ვცხოვრობდი იქ... სხვაგანაც გავქცეულვარ... ერთი სიტყვით, ჩვეულებას არც ამჯერად ვუღალატე – დიდი სატვირთო მანქანის – „თრაქას“ კაბინაში მოვთავსდით და მონრეალიდან დეტროიტისკენ გავუტიეთ. შუაღამე იყო, საზღვარს რომ მივადექით. მძღოლი სიგარეტის საყიდლად გადავიდა. ჩვენ გასუსული ვწევართ სიბნელეში და ველოდებით. საბედნიეროდ, მესაზღვრეს კაბინაში აღარ შემოუჭვრიტავს და გავედით და გავედით...

***– რა სტატუსით ჩახვედით?***

– რა თქმა უნდა, არალეგალი ვიყავი და ჯიბეში მხოლოდ ქართული პასპორტი მედო. შემიძლია დაგამშვიდო: თუ კრიმინალი არა ხარ, ასი წელი არც ერთი პოლიციელი საბუთს არ მოგთხოვს. პირიქით კი ხდება: ჩემ მეუღლეს თვალის პრობლემა ჰქონდა, სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ეს კი შვიდი ათასი დოლარი ღირდა. მადლობა ნიუ-იორკს: ქალაქის ბიუჯეტმა გადაიხადა. მეც მქონდა ჯანმრთელობის პრობლემა – ორი დღე წვეთოვანეში მედგა და მკურნალობა სამი ათასი დოლარი დაჯდა, რაც აგრეთვე ქალაქმა გადაიხადა და წამლები შინაც გამატანეს. მკითხველს რომ არ გაუკვირდეს ამერიკელთა ასეთი „ხელგაშლილობა“, ვიტყვი, რომ „სასწრაფოთი“ წაყვანილი ავადმყოფის მკურნალობის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო იხდის, სტატუსს (და ასაკსაც) ხელი არ შეუშლია, რომ მევლო კოლეჯში ინგლისურის შესასწავლად, მეთანამშრომლა ადგილობრივ რუსულენოვან გაზეთებში, გამოვსულიყავი რადიოთი, მესარგებლა ბიბლიოთეკით...

***– ქართველებს ხვდებოდი?***

– ცხადია. ბლომად არიან იქ ქართველები. მე ვინც გავიცანი – ერთი ასი კაცი – ყველა წესიერი ხალხი იყო – მხატვრები, მუსიკოსები, მეცნიერები... და ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება, გაზეთებში რომ წერენ ხოლმე, რა ცუდები ვართ ქართველები, რა ცუდად ვიქცევით უცხოეთში და ა. შ. ის ჩემი ნაცნობები თავის კვალს აჩნევენ დღევანდელი ამერიკის ყოფას. ჩვენ ერთად დავდიოდით მართლმადიდებლურ ეკლესიაში, იქ ქართველები გალობდნენ, ქართველი მღვდელი გვყავდა, ქართველები ინათლებოდნენ და ჯვარიც დავწერეთ ქართველ წყვილებს. ჩემმა ოჯახმა ორი ლამაზი ქორწილი გადაიხადა – ქალ-ვაჟი დავაქორწინეთ ისევ ქართველებზე და ცენტრალურ პარკში ისეთი ტაშ-ფანდური გავმართეთ, თქვენი მოწონებული. უკვე ორი შვილიშვილი მყავს, ისინი ამერიკის მოქალაქეები არიან, მაგრამ, ცხადია, აქაურ მოქალაქეობასაც მიიღებენ და იარონ წინ და უკან...

***– რატომაც არა... ახლა, ჩემო ჯემალ, მივადექით მწერლობას... ვარიანტი არ არის, ამერიკაში შენ მიზანში გაარტყამდი...***

– (იღიმება) აი, ეს წიგნი გამოვეცი, უფრო სწორად, გამოსცეს (უზადოდ გამოცემულ წიგნს მიჩვენებს). იქ რომ ჩავედი, ქალბატონ ასმათ კვალიაშვილს ვათარგმნინე რამდენიმე ჩემი ზღაპარი პატარებისთვის და ვაგზავნე და ვაგზავნე სხვადასხვა მისამართით, შევაწუხე აგენტები, გამომცემლები... არ დავტოვე ამერიკა, ინგლისი, კანადა... თქვენც არ მომიკვდეთ, ვის რაში სჭირდები, ვიღაც ჯ. ქ.-ს გამო ფინანსურ რისკს ვინ გასწევს... ერთი პირობა ხელიც ჩავიქნიე, მაგრამ, როგორც კი ცოტა ფული ვიშოვე, ქალბატონ ასმათს ვთხოვე, ეთარგმნა ჩემი ერთი ზღაპარი „ბაციკუკუ“. ქალბატონმა ასმათმა არა თუ თარგმნა, ცოტათი ამერიკულ გემოვნებასაც მიუსადაგა იგი. გადავბეჭდე და ორ-სამ მისამართზე გავაგზავნე. სამი დღის შემდეგ ცნობილმა გამომცემლობამ „ფაბლიშ ამერიკამ“ ბალტიმორიდან კონტრაქტი შემომთავაზა და უკვე, როგორც ხედავ, ეგზემპლარიც გამომიგზავნა. მალე კი მთელი ტირაჟი გამოვა და გამომცემლობამ უკეთ იცის, სად და როგორ გაყიდოს.

***– ჰონორარი?***

– ჰონორარსაც გამოაგზავნიან, რა თქმა უნდა...




***– თუ არ ვცდები, აქამდე შტატებში არც გამოსულა რომელიმე ქართველი მწერლის ნაწარმოები...***

– გამომცემლობა რომ დაინტერესებულიყოს და ხელშეკრულება დაედოს, ასეთი რამ არ ყოფილა, და, საკუთარი ფულით, შეიძლება, ვინმემ გამოსცა...

***– აი, მესმის... გილოცავ ძმაო...***

**ვილენ მარდალეიშვილი**

სემინარი

# ადრეული დიაგნოსტიკა – უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

**ახლახან ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, გაიმართა სემინარი თემაზე: „რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრიორიტეტები და პრობლემები საქართველოში“. ასეთი შეხვედრები წელიწადში ორჯერ ეწყობა.**

ამ სემინარის იდეის ავტორმა, ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეპროდუქტოლოგიაში საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლება შესაძლებელია მასმედიის საშუალებით. სამწუხაროდ, მოსახლეობა ნაკლებად არის ინფორმირებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებით. მეტად სავალალო მდგომარეობაა სქესობრივი აღზრდის თვალსაზრისითაც.

არჩილ ხომასურიძემ ისაუბრა აგრეთვე რეპროდუქტოლოგიის ძირითადი მიმართულებების და უნაყოფო წყვილების გამოკვლევის მკურნალობის თანამედროვე მეთოდების, აბორტის მავნებლობის, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების შესახებ.

სემინარზე ყურადღება გამახვილდა შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები სხვა ინფექციების ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მნიშვნელობაზე, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე, თანამედროვე დემოგრაფიულ ტენდენციებსა და მოსახლეობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის, რეპროდუქტოლოგიაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში მოზარდთა სქესობრივი განათლების როლის შესახებ.

**ბელა ლომთაძე**

№ 146. ოთხშაბათი. 22 ივნისი. 2005 წელი.

22 ივნისი, 64 წლის წინათ

# რა ელოდა საქართველოს

**მსოფლიოში გაბატონების უგუნურ გეგმებში ფაშისტები მნიშვნელოვან როლს ანიჭებდნენ მოსახლეობის მოსპობის ტექნიკის განვითარებას. – ჩვენ ვალდებული ვართ მოვსპოთ მოსახლეობა. ეს შედის გერმანელი მოსახლეობის დაცვის მისიაში... მოგვიწევს მოსახლეობის მოსპობის ტექნიკის განვითარება, – ასე არიგებდა თავის თანამოსაგრეებს ჰიტლერი. მათ მიერ შექმნეს მილიონობით ადამიანის განადგურების ნამდვილი ინდუსტრია. ოსვენციმის, დახაუს, ბუხენვალდის, მაიდანეკის და სიკვდილის სხვა ფაბრიკების [illegible] არა მარტო ადამიანების მასობრივი მოსპობის „მეცნიერული" სისტემა, არამედ მათი ნარჩენების უტილიზაციაც.**

გერმანიასა და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში განლაგებულ 1100 საკონცენტრაციო ბანაკში გატარებული 18 მილიონი ადამიანიდან 11 მილიონზე მეტს ფაშისტებმა წამებით ამოხადეს სული.

„დაბალი რასის" გასაჟლეტად სიკვდილის კომბინატების ორგანიზაციასთან ერთად ჰიტლერი არც „არიული ჯიშის" მხეცების მოშენებას ივიწყებდა. სწორედ ამგვარი საკითხების გადაწყვეტაზე მუშაობდნენ მემკვიდრეობის საკითხების შემსწავლელი „სამეცნიერო ინსტიტუტები" (ე. წ. „ჰიმლერის ინსტიტუტები"), რომლებიც სპეციალურად სწავლობდნენ „დაბალი რასების" ბიოლოგიური დასუსტებისა და „არიული ჯიშის" გამრავლების პრობლემებს. კერძოდ, ტყუპების ბიოლოგიას და მრავალშვილიანობის გავრცელების შესაძლებლობებს. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში თეთრხალათიანი ჯალათი სს-ის გრუპენფიურერი იოზეფ მენგელე ფსევდომეცნიერულ ცდებს ატარებდა ტყვე ბავშვებზე და შემდეგ მათ ფენოლის ინექციით ხოცავდა. მას აინტერესებდა ტყუპების გაჩენის მექანიზმი, რათა მიეღწია იმისათვის, რომ გერმანელ ქალებს ეშვათ ტყუპები, უმთავრესად ბიჭები. იქვე ჰიმლერის პირადი მეთვალყურეობით ქალების [illegible] პრობლემას იკვლევდა გინეკოლოგი კარლ კლაუბერგი. ექსპერიმენტების მიზანი იყო – [illegible] იმისათვის, რომ არაარიული ხალხის [illegible] ქალები [illegible] და სამუდამოდ დაკარგავდნენ დედობის უნარს.

ჰიტლერის რჩევით ჰიმლერმა [illegible] შემდეგ ასი [illegible]



[illegible]მაც შეადგინა. თითოეულ ასეთ ბანაკში ათასი „წმინდა სისხლის" ძვირფასი მწარმოებლების – ძირითადად სს-ელების საშუალებით აპირებდნენ უზრუნველეყოთ „არიული ნამატი".

გავიხსენოთ აგრეთვე ანტისემიტიზმის თეორიტიკოსის გლობკეს მიერ შემუშავებული ვანდალური „ნიურნბერგის რასობრივი კანონები", აგრეთვე „ბორმანის კანონებიც", რომლებიც გერმანელ ქალიშვილებს მოუწოდებდა გათხოვების გარეშეც ეზრუნათ „ძვირფასი არიული ჯიშის" შთამომავლობაზე...

ასე აპირებდნენ მსოფლიოს გაგერმანელებას „უმაღლესი რასის" ჰიტლერული „ცივილიზატორები".

სსრ კავშირზე თავდასხმის მომზადებისას ჰიტლერელებმა გაითვალისწინეს მისი დაყოფა ოთხ რაიხსკომისარიატად-გერმანიის კოლონიებად: მოსკოვი, ოსტლანდი, უკრაინა და კავკასია. გერმანული პუნქტუალობითვე დაამუშავეს სახელმწიფოს ძარცვის, მოსახლეობის ფილტრაციის გეგმა „ოსტ" (აღმოსავლეთი), რომლის მიხედვითაც მოსახლეობის მიმართ უნდა გატარებულიყო ისეთი პოლიტიკა, რაც გამოიწვევდა ხალხის დაუძლურებას. საბოლოოდ კი სსრ კავშირის ბიოლოგიური პოტენციალის განადგურებას.

შემდეგში რუსეთი საერთოდ უნდა ამოშლილიყო ევროპის სახელმწიფოთა სიიდან. – „ყველამ უნდა იცოდეს, – ამბობდა ჰიტლერი, – რომ ევროპაში იქნება მხოლოდ ერთი დედაქალაქი – ბერლინი". მის მიერ „გაუქმებული" სახელმწიფოების ნაცვლად რუკაზე თეთრ პუნქტირებს სვამდნენ და აწერდნენ – „განხალხება" (ასეთი პუნქტირი და შიფრი დასმული იყო საქართველოს რუკაზეც).

საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტების პოლიტიკის არსი ნათლად ჩანს ბორმანის წერილიდან როზენბერგისადმი: „ფიურერის დავალებით გატყობინებთ მის სურვილს, რომ აღმოსავლეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იცავდეთ და ახორციელებდეთ შემდეგ პრინციპებს:

1. ჩვენ შეიძლება დაინტერესებული ვიყოთ მხოლოდ იმით, რომ შევამციროთ ოკუპირებული აღმოსავლეთის ოლქების მოსახლეობის მატება.

2. მოსახლეობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა.

3. უნდა განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი არაგერმანული მოსახლეობის გამრავლების წინააღმდეგ... მომავალში ახლანდელი ანბანის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ ლათინური შრიფტი".

ყველაფერი ეს, რაც ჰიტლერელთა გეგმების შესახებ ფაშისტურ დოკუმენტებშია ნათქვამი, რუსეთსა და რუსებთან ერთად ეხებოდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ყველა სხვა ხალხებს. ცხადია, ქართველებსაც.

უფრო მეტიც. საქართველოს ჰიტლერი განიხილავდა, როგორც „დიდი გერმანიის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს, როზენბერგისა და შიკედანცისაგან (სს-ის გენერალი, კავკასიის რაიხმინისტრი, რომლის რეზიდენცია თბილისში უნდა ყოფილიყო) მოითხოვდა კავკასიაში „უსასტიკეს ღონისძიებათა" გატარებას, რადგან ფიურერს სხვაგვარად ვერ წარმოედგინა „ამ სისხლის აღებით დაორსულებული ხალხების" დამორჩილება. ამიტომ მან საქართველოც შეიყვანა „განხალხების" ზონაში.

ამასთან კავკასიის რაიხსფიურერს ეძლეოდა „დამოუკიდებლად, პირადი პასუხისმგებლობით მოქმედების", ესე იგი საქართველოს მოსახლეობის დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტის შეუზღუდავი უფლება. საბოლოოდ კი უნდა მიეღ-



წიათ ქართველი ერის სრული ბიოლოგიური მოსპობისათვის.

მანამდე კი, მოსახლეობა 15 წლის ასაკს ზევით: მუშები, პედაგოგები, ხელოვნების მუშაკები, პროფესორები, „მონათა კლასი", რომელთაც ჰიმლერი ზიზღით პირუტყვებს უწოდებდა, უნდა გაეგზავნათ გერმანიაში „ბატონთა კლასის" – გერმანელების მოსამსახურეებად.

ბავშვების ნაწილს, რომლებსაც სრულფასოვნად ჩათვლიდნენ, გერმანიაში წაიყვანდნენ და გააგერმანელებდნენ, ბავშვების მეორე ნაწილი კი, როგორც პოტენციური მოწინააღმდეგეები, უნდა დაეხოცათ. შიკედანცმა კიდეც მოასწრო საქართველოში „მონათა კლასის" ხელმძღვანელად ჰაიბელის დანიშვნა, რომლისგანაც ჰიმლერი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ქართველებს წართმეოდათ შთამომავლების დატოვების უფლება. ისინი სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდნენ სახლ-კარს, ოჯახს...

საქართველო უნდა გამხდარიყო მათი ოჯახების სააგარაკო ადგილი.

ნუთუ ყოველივე ამის შემდეგ უზნეობა არ არის ვამტკიცოთ, რომ ეს ომი ჩვენთვის არ ყოფილა სამამულო?

ხოლო მათ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია, თუ რა მოელოდა კაცობრიობას ფაშიზმის გამარჯვების შემთხვევაში, შევახსენებ ამერიკელი პროფესორის „პეტრე დიდის ცხოვრების", „ვაიმარული ქრონიკის", „ცეცხლი და წყლის", „სტალინის" ავტორის ალექს დე ჯონდის სიტყვებს: „ჰიტლერს რომ დაემარცხებინა სსრკ, არ იქნებოდნენ რუსები, თუმცა ამავე დროს არც ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები"... და, ცხადია, არც ქართველები ვიქნებოდით ამ ქვეყანაზე... ეს ისტორიული სინამდვილეა და ამ სინამდვილეს ვერავინ გაექცევა.

**სოლომონ ბაქანიძე,**
**პროფესორი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი.**

ზოგი რამ საიდუმლოება...

# და ხვალ იყო ომი...

**ისტორიულად ცნობილია, რომ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჰიტლერული ვერმახტის გადაწყვეტილებით, როგორც ფართო საზოგადოებრიობის, ისე დიპლომატიური წრეებისთვის, თვალის ახვევის მიზნით, ძლიერ გასაიდუმლოებულ ვითარებაში, ფაშისტური გერმანიის რეიხმინისტრი რუდოლფ ჰესი, ღამით თვითმფრინავით, პარაშუტით გადააფრინეს დიდი ბრიტანეთის მიწა-წყალზე, რაც დაწვრილებით აღწერა მწერალმა იური კოროლკოვმა წიგნში „ომის საიდუმლოებანი" (მოსკოვი, 1986 წ., გვ. 584-587) და რასაც საზოგადოებრიობას შემოკლებული სახით ვთავაზობთ.**

...ფაშისტური გერმანიის რეიხმინისტრის რუდოლფ ჰესის საიდუმლო მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელთან ბ-ნ კირპატრიკთან მიიწურა და ლონდონის ბარბაროსული დაბომბვებიც შეწყდა, მაგრამ ასი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე ნანგრევებში მოქცეულიყო. ამავდროულად გერმანიის ვერმახტის მე-2 სამხედრო-საჰაერო ფლოტის სარდალმა ალბერტ კესერლინგმა თავისი მთავარი ბანაკი საფრანგეთიდან პოზნანში გადმოისროლა.

...უინსტონ ჩერჩილმა სიგარას მოუკიდა, კირპატრიკისთვის ყველაზე უფრო მეტად გასაიდუმლოებული დავალების გასანდობად მოემზადა, რუდოლფ ჰესისთვის გადასაცემად. ჩერჩილმა საგრძნობლად დაუწია ხმას და წარმოთქვა – გადაეცით, რომ ჩვენ ჰიტლერის ვერაგობის გვეშინია და არ ვენდობით, დაე, იგი.... – ჩერჩილმა კიდევ უფრო დაუწია ხმას და თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა – დაე, მან ჯერ რუსეთში დაიწყოს და არა პირიქით, გამიგეთ? ამ დროს მისმა სახემ უკიდურესობამდე მზაკვრული გამომეტყველება მიიღო, საჩვენებელი თითი ზეაღმართა და უცნაურად გაიღიმა.

ორი კვირის შემდეგ ლონდონიდან ათასი მილის დაშორებით გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანი ადგილმდებარეობის უკანასკნელ რეკოგნისცირებას ატარებდა, გერმანელთა სატანკო ჯარების სარდალი შტაბის ოფიცრებთან ერთად გავიდა ღამისგან დანოტივებულ ქვიშიან ნაპირზე. ფეხქვეშ, ქვიშა ისევე ღრაჭუნებდა, როგორც იქ ლამანშზე, დიუნკერკთან ახლოს.

ეს-ეს არის ხიდზე გრუხუნით გადაიქროლა ექსპრესმა „მოსკოვი – ბერლინი". „უკანასკნელი ექსპრესი რუსეთიდან", – გაიფიქრა მან.

მდინარე ბუგის იქით ალიონი იწყებოდა. ეტყობოდა, რომ ნათელი, მზიანი დღე იქნებოდა. გარინდებულ წყნარ მდინარეზე მდორედ მიცურავდნენ ნისლის მსუბუქი ღრუბლები, ხოლო მდინარის ჩამუქებულ წყალში კიაფობდნენ მიმკრთალი ციური ვარსკვლავები.



ადიუტანტმა გააფრთხილა, – უმჯობესია ბუჩქების უკან დადგეთ! გუდერიანი არ გამოეპასუხა, თითქოს არც გაუგონიაო, ჯერჯერობით საომარი მოქმედებები ხომ არ იყო დაწყებული? მან ბინოკლი მოიმარჯვა და მოპირდაპირე მხარეს გახედა. დაბალი ნაპირი დაფარული იყო მეჩხერი მცენარეებით და ბუჩქნარით, ხოლო მათ უკან ბრესტის ციხე-სიმაგრის გეომეტრიულად სწორი ფორმის მწვანე ფერის კონტურები მოჩანდა, თუმცა-ღა მშვიდობიანი.

რით დამთავრდება ლაშქრობა აღმოსავლეთში, რას მოგვიტანს დღევანდელი დღე? გამეორდება თუ არა ფრანგული ვარიანტი აბვილის და დიუნკერკის მსგავსად? შენისლული წინათგრძნობები აცურდნენ და გაიფანტნენ, როგორც ბურუსი მდინარე ბუგზე. არა, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, დაე გაფერმკრთალდნენ ვარსკვლავები.

რეკოგნისცირებაზე გამომგზავრების წინ გუდერიანმა ხელი მოაწერა ბრძანებას „ჯარების ქცევის წესები რუსეთში". ეს ეხებოდა მდინარე ბუგის იქით მცხოვრებ ადამიანებს, მდინარისა, რომელიც დილის მოახლოებასთან ერთად თანდათან ნათდებოდა. გენერალმა ხელი მოაწერა ბრძანებას ფელდმარშალ კეიტელის განკარგულების საფუძველზე. მასში კი მთავარი ერთი იყო. ეს ფრაზა გუდერიანს ზეპირად ახსოვდა: „კომუნისტებისა და წითელარმიელების მიმართ ჰუმანურობა უადგილო და გაუმართლებელია, ისინი ლიკვიდირებულ უნდა იქნან შეუბრალებლად".

ვინ? ნებისმიერი, ვინც წინ აღუდგება, ან გასწევს თუნდაც უმნიშვნელო წინააღმდეგობას. იციან კი იქ? – თუნდაც ციხე-სიმაგრეში, რომ ბევრისთვის დღეს მზე უკანასკნელად ამოვა? დაე იძინონ... მაგრამ მაინც რა ელოდება მას ამ ქვეყანაში? რუსეთი მას ეჩვენებოდა იდუმალი, გაუმჭვირვალე, სწორედ ისეთივე როგორც მომავალი.

გუდერიანმა ბინოკლი მარჯვნივ რკინიგზის ხიდისკენ გადაიტანა. ხიდის შეუჩერებელი დაპყრობის შემდეგ, მეორე მხარეს გადასვლა განხორციელდეს მყისიერად. ყველაფერი ზუსტად გათვლილი და გადაწყვეტილია.

ამასობაში უფრო მეტად ინათა, მაგრამ მდინარის იქითა ნაპირის იდუმალებით მოცული შთაბეჭდილება არ ქრებოდა. გერმანელ გენერალს უკანასკნელი აზრები და ფიქრები თრგუნავდნენ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის წინ.

გუდერიანი დაბრუნდა სახელმძღვანელო პუნქტზე. ზუსტად ვადაზე, ბანაკს აღმოსავლეთისკენ მიმავალმა თვითმფრინავებმა გადაუფრინეს. მაშინვე გაისმა საარტილერიო ზალპის ხმა, ამას მოჰყვა გრუხუნი და ზათქი სხვადასხვა იარაღებიდან.

გუდერიანმა ადიუტანტი მოიხმო.

– სატანკო კოლონები დაიძრნენ?

– დიახაც, ბატონო სარდალო, ისინი უტევენ რკინიგზის ხიდს, ბრძანების შესაბამისად.

ფაშიზმის ომი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დაიწყო.

ამ დღეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბატონი უინსტონ ჩერჩილი სიტყვით გამოვიდა თემთა პალატაში, სადაც ილაპარაკა ჰიტლერის ახალ ვერაგულ თავდასხმაზე და პარლამენტის წევრებს საბჭოთა კავშირისადმი გულწრფელი და უანგარო მხარდაჭერა შესთავაზა.



**მოამზადა 414-ე ქართული დივიზიის ყოფილმა ოფიცერმა, ინჟინერმა ოთარ დურგლიშვილმა.**

## ჯორჯ ბუში ვიეტნამის მთავრობის მეთაურს მასპინძლობს

**ვიეტნამის ომის დასრულების შემდეგ პირველად მასპინძლობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი თეთრ სახლში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს. ეს ისტორიული ვიზიტი ეძღვნება შეერთებულ შტატებსა და ვიეტნამს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის 10 წლისთავს.**



ჯორჯ ბუშთან შეხვედრის დროს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფან ვან კჰაი აპირებს მიაღწიოს ამერიკის მხარდაჭერას მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში ვიეტნამის გაწევრიანების საკითხში. როგორც მოელიან, მოლაპარაკების შედეგების მიხედვით მხარეები ხელს მოაწერენ ორ შეთანხმებას – სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლისა და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმება ტერორისტული საფრთხის თაობაზე სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის შესახებ ითვალისწინებს თანამშრომლობას ტრანსეროვნული დამნაშავეობისა და ეგრეთ წოდებული „ფულის გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლაში. ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ორივე ქვეყნის საელჩოების მეშვეობით. რაც შეეხება შეთანხმებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, იგი ითვალისწინებს ვიეტნამელი ოფიცრების წვრთნა-მომზადებას შეერთებულ შტატებში.

„ახლა, როცა ომის დასრულების შემდეგ გავიდა 30 წელი, ჩვენი პოლიტიკა მიზნად ისახავს იმას, რომ დავივიწყოთ წარსული, ვიფიქროთ მომავალზე, მივაღწიოთ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას", – განაცხადა ფან ვან კჰაიმ ვაშინგტონში გამგზავრების წინ.

თეთრ სახლში ვიზიტის წინ ფან ვან კჰაი შეხვდა კომპანია „მაიკროსოფტის" მეთაურს ბილ გეიტსს, და შეპირდა მას, რომ ბრძოლას გამოუცხადებდა კომპიუტერულ მეკობრეობას. ვიეტნამის მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა ორ შესაბამის შეთანხმებას.

## სენატმა ბოლტონის კანდიდატურას კენჭი კვლავ არ უყარა

**თეთრმა სახლმა კვლავ ვერ დაარწმუნა სენატი იმაში, რომ ეყარა კენჭი ჯონ ბოლტონის კანდიდატურისთვის, რომელიც პრეზიდენტმა დაასახელა გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის პოსტზე.**



და მაინც, პრეზიდენტს კვლავ აქვს შესაძლებლობა ბოლტონი დანიშნოს ამ თანამდებობაზე. სულ 100 სენატორია, რომელთაგან 55 რესპუბლიკელია, ასე რომ, ეს უმრავლესობა ბუშს მისცემს მის მიერ დასახელებული კანდიდატის მხარდაჭერის გარანტიას. მაგრამ ბოლტონის კანდიდატურის დამტკიცებისთვის საჭიროა 60 ხმა და დემოკრატები თუ მტკიცედ დადგებიან თავიანთ პოზიციაზე, მისი კანდიდატურა მაინც ვერ გავა.

დემოკრატები აღნიშნავენ, რომ არ აპირებენ მთლიანად დაბლოკონ საკითხის შემდგომი განხილვა. ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფო დეპარტამენტში ბოლტონის საქმიანობის შესახებ.

ბუშის ადმინისტრაციას კი მიაჩნია, რომ ასეთი მოთხოვნა დაუსაბუთებელია. საბოლოო ანგარიშით, საქმე ჩიხში მოექცა, და ბოლტონის კანდიდატურას თუ არ გამოიხმობს, პრეზიდენტი შესაძლოა რთული დილემის წინაშე აღმოჩნდეს.

მას შეუძლია დანიშნოს წარმომადგენელი გაეროში სენატორებთან შეუთანხმებლად, როცა სენატში 4 ივლისს გამოცხადდება არდადეგები, მაგრამ ასეთი დანიშვნა ძალაში იქნება მხოლოდ 2007 წლამდე.

## კამიკაძე-ქალს საავადმყოფოს აფეთქება სურდა

**ახალგაზრდა პალესტინელი ქალი, რომელიც დააკავეს ღაზის სექტორის საკონტროლო-გამშვებ პუნქტში აპირებდა თავის აფეთქებას ისრაელის ერთ-ერთ საავადმყოფოში.**



ვაფა ბისი აპირებდა მისვლას მორიგ პროცედურაზე ბეერ-შევის ჰოსპიტალში. ერეცის საკონტროლო-გამშვებ პუნქტში იგი გააჩერეს ჯარისკაცებმა. სამხედროთა თქმით, ქალიშვილმა სცადა თავის აფეთქება, მაგრამ ეს ვერ შეძლო, რადგან ასაფეთქებელი მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა.

მოგვიანებით ისრაელის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში, 21 წლის პალესტინელმა ლტოლვილმა აღიარა, რომ „ოცნებობდა მომკვდარიყო მოწამის სიკვდილით", თუმცა, პატიებაც ითხოვა.

როგორც ქალიშვილმა განაცხადა, იგი მოქმედებდა „ალ-აქსის მოწამეთა ბრიგადების" – მოძრაობა ფათჰის რადიკალური სამხედრო ფრთის წარმომადგენელთა მითითებით.

ბეერ-შევში ვაფა ბისი გადიოდა მკურნალობის კურსს, რადგან ხუთი თვის წინათ სამზარეულოში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად მან არაერთი დამწვრობა მიიღო. ქალიშვილს დახმარებას უწევდნენ პალესტინა-ისრაელს შორის დადებული ჰუმანიტარულ შეთანხმებათა საფუძველზე.

ისრაელის თავდაცვის არმიის წარმომადგენელმა, მაიორმა შერონ ფეინგოლდმა აღნიშნა, რომ პალესტინელი მოთარეშეები ჰუმანიტარულ შეთანხმებებს იყენებდნენ თავიანთი მიზნების მისაღწევად. „ეს ტერორისტული ორგანიზაციები არა მარტო ისრაელის, არამედ თვით პალესტინელი ხალხის მტრებიც არიან", – თქვა მან.

## საფრანგეთში რეკორდული სიცხეა

**ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მიმდინარე კვირის დამლევს დაფიქსირდა ჰაერის რეკორდულად მაღალი ტემპერატურა.**

მაგალითად, კურბვუაში, ნემურში, სანსში თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტმა მიაღწია 35-გრადუსიან ნიშნულს.

ამავე დროს, სინოპტიკოსები ჯერჯერობით არ გამოთქვამენ პროგნოზს იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ჰაერის ტემპერატურამ მიაღწიოს 2003 წელს დაფიქსირებულ ნიშნულს. მაშინ არნახულ სიცხეს ევროპაში ემსხვერპლა 20 ათასამდე კაცი, ძირითადად, ქრონიკული ავადმყოფები და ხანდაზმული ასაკის ადამიანები.



ომი

# მოლოდინი

**ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, სამუდამოდ არის ჩემს მეხსიერებაში ჩაბუდებული. როცა დედაშვილობის გრძნობაზეა საუბარი, ყოველთვის ის მახსენდება, მით უმეტეს, თუ ეს ომის თემას ეხება.**

ომის დაწყებისას სერგო ბექანის ძე ბეგლარიშვილი სკოლის მოსწავლე იყო. დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, 1942 წელს, ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ნაწილების მებრძოლთა რიგებში ჩადგა... იმედიან წერილებს უგზავნიდა დედას, არ იდარდო, აუცილებლად გავიმარჯვებთო.

ომის დამთავრებამდე იბრძოდა გმირულად. ვინ იცის, რამდენი ხიფათი და განსაცდელი გადახდენია გამარჯვების ჟინით გულანთებულ მამულიშვილს.

დამთავრდა ომი, მოვიდა დეპეშა: „დედა, გავიმარჯვეთ და რამდენიმე დღეში სახლში ვიქნებიო". გამარჯვების სიხარულთან ერთად სოფიო ბებო შვილის მოლოდინში საათებს და წუთებს ითვლიდა. მაგრამ დაბრუნების შეტყობინების დეპეშას, მეორე – დაღუპვის დეპეშა მოჰყვა!

ცას სწვდებოდა სოფიოს განწირული ხმა, გულსაკლავად ტიროდა, სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. – „ომი დამთავრდა, თვითონ გამოგზავნა დეპეშა, მოვდივარო, რაღაც შეცდომააო" – არაფრით არ იჯერებდა შვილის დაღუპვას...

სოფიო ბებო ჩემი მეუღლის ბებია იყო. ერთად ვცხოვრობდით. ის ღვთისმორწმუნე, კეთილი, კარგი მოსაუბრე და განათლებული ადამიანი გახლდათ. მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა. ბევრი კარგი ვისწავლე მისგან. თუ რამეზე დავღონდებოდი, ისე გამამხნევებდა, ის წუხილი აღარც კი მახსოვდა ხოლმე. ჩემი ოჯახისთვის დიდი იმედი იყო.

იგი 1993 წელს, 92 წლისა გარდაიცვალა. მხოლოდ ერთი თვე იავადმყოფა. ყურადღებას და მოვლას არ ვაკლებდი. მის გვერდით ვიყავი შუაღამემდე, მესაუბრებოდა, მარიგებდა. ხან რას მეტყოდა და ხან რას. ერთხელ ცრემლნარევი ხმით მითხრა: მე დღეები მაქვს დათვლილი, ჩემი შვილი იგვიანებს, შეიძლება ვერც კი მომისწროსო. რუსის ცოლი ჰყავს და აქეთ არ უშვებსო. მე ვიცი შენი ქალობის ამბავი, მაგრამ ძალიან გთხოვ, ჩემი სერგო რომ ჩამოვა, კარგად შეხვდიო. მეც გული არ დავწყვიტე და პირობა აღვუთქვი – კარგად დავხვდები-მეთქი.

სოფიო ბებო მაინც ბედნიერი ქალი იყო. მას ორი ქალიშვილი, ექვსი შვილიშვილი და თექვსმეტი შვილთაშვილი ჰყავდა. ყველა უყვარდა, ღმერთს ევედრებოდა მათ ჯანმრთელობას.

სოფიო ბებო სიცოცხლის ბოლო წუთამდე ელოდა თავის 17 წლის ვაჟკაცს. ის იმ რწმენით წავიდა ამ ქვეყნიდან, შვილი ცოცხალი ეგონა. მისი შვილი კი ბენდერებმა ომის დამთავრების და გამარჯვების შემდეგ მოკლეს.

მართალი უთქვამთ: რაც ომის გამო დაიკარგება, მას ველარა ზღვავსო, თვით გამარჯვებაც კი....

**ანა ქველიძე.**

◎ სულიერება

# ქარელში რომ სასულიერო გიმნაზიაა



**ამ რამდენიმე დღის წინათ ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეები ღიმილით, სიყვარულითა და ყვავილებით შეეგებნენ მათთან სტუმრად მისულ პოეტ ვახტანგ ჯავახაძეს.**

გიმნაზიის რექტორმა არქიმანდრიტმა სტეფანემ (კორინთელმა) და პედაგოგიურმა კოლექტივმა ჩინებული მასპინძლობა გაუწიეს სტუმარს. შეხვედრა გიმნაზიის დარბაზში გაიმართა და მოსწავლეებმა მთელი თავიანთი თვითშემოქმედება წარმოადგინეს: წაიკითხეს პოეტის ლექსები, იმღერეს და იცეკვეს, პოეტს აჩვენეს თავიანთი ნახატები, ხელგარჯილობის ნიმუშები.

არც სტუმარი დარჩენილა ვალში: დამსწრეთ მან თავისი ახალი ლექსები წაუკითხა.

თურმე, კარგი სტუმარიც მოგვნატრებია და ამაღლებული პოეზიაც.

ქარელის სასულიერო გიმნაზია და მისი კოლექტივი ღირს იმად, რომ ორიოდ სიტყვა ვთქვათ მასზე. ახალგაზრდა, განათლებული ხელმძღვანელი ჰყავს სასწავლო დაწესებულებას – მამა სტეფანე. იგი სულ ერთი წლის წინათ მოვიდა აქ და სასწავლო პროცესიც მეტი აკადემიურობით დაიტვირთა, პედაგოგებმა კი მეთოდური და დამხმარე ლიტერატურა მოიძიეს და თავიანთი პროფესიული ცოდნის გაღრმავებისთვის დაიწყეს ზრუნვა. მოსწავლეები კი, მათს ირგვლივ სასიკეთო ცვლილებებს რომ ხედავენ, ბეჯითი სწავლით განამტკიცებენ გიმნაზიის სახელს.

და ამის შემდეგ აღარ გვიკვირს წლიდან წლამდე რატომ იზრდება გიმნაზიაში მოსწავლეთა რაოდენობა. დღეს აქ 205 მოსწავლეს ითვლიან, ორიოდ წლის წინათ კი მათი რაოდენობა 150 არ აღემატებოდა. 34-კაციანი პედაგოგიური კოლექტივი მათი აღზრდისა და განათლების საქმეს ემსახურება. და თუმცა გიმნაზიაში მეორეხარისხოვანი საგნები არ არსებობს, მაინც განსაკუთრებულ პატივშია აქ საღვთო რჯული, მშობლიური, ინგლისური და გერმანული ენები, რომელსაც ასწავლიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები ანა თადიაშვილი, როზა კოპაძე, ანა და ნანა კობახიძეები, ნანა სანდოძე და, რა თქმა უნდა, მამა სტეფანე.

და, რადგან არა მხოლოდ პურითა ცოცხლობს კაცი, მოსწავლეთა სულიერი აღზრდისთვისაც ბევრი რამე კეთდება. მწერალ ოტია იოსელიანთან შეხვედრა, ამ რამდენიმე ხნის წინათ რომ გაიმართა, სწორედ ამის დასტურია. ბევრი საინტერესო გაიგეს ბავშვებმა ისტორიკოსის, პროფესორ სიმონ მასხარაშვილის სტუმრობით, თურმე, ნუ იტყვით და, ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...

განა შეიძლება ყინწვისში მიმავალმა გერმანიის ელჩმა ან საელჩოს თანამშრომლებმა გზად მამა სტეფანეს გიმნაზიაში არ შემოიაროს?! ამას წინათ კი ამერიკის საელჩოდან მოვიდნენ სტუმრად. ელჩის მეუღლეს ქალბატონ აშერონ მაილსს, საელჩოს თანამშრომლებს და სხვა სტუმრებს გიმნაზიელებმა მშვენიერი საღამო გაუმართეს. ინგლისურ ენაზე „წითელქუდა" წარმოადგინეს, ერთმანეთს ლექსების თქმაში გაეჯიბრნენ.




რითაც გიმნაზიელები განსაკუთრებით ამაყობენ, ეს არის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული „კლდე". იგი ყოველკვარტალური ჟურნალია და გიმნაზიის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. აქ იბეჭდება მოსწავლეთა



ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, თარგმანები, წერილები საეკლესიო ცხოვრებაზე. სწორედ „კლდიდან" შეიტყო მკითხველმა მეხუთეკლასელი ნორჩი მხატვრის ნიკა ხოფერიას შესახებ, მას ქარელის სამხატვრო სკოლის დირექტორი იამზე გაბაშვილი კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ჟურნალს, რომელიც უსასყიდლოდ, საჩუქრის სახით ვრცელდება, მრავალი მკითხველი ჰყავს.

**გურამ ვაშაკიძე.**

**სურათებზე: ქალბატონი აშერონ მაილსი (მარჯვნიდან მეორე) და ამერიკის საელჩოს თანამშრომლები სტუმრად გიმნაზიელებთან; მოსწავლეთა ჟურნალი „კლდე", ბიბლიურ სიუჟეტზე შესრულებული ნიკა ხოფერიას ნახატი.**

## შეტყობინება

**სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ივერიის" საერთო კრების ჩატარებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 30 ივნისი.**

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2005 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრაციის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერთა კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „სასტუმრო ივერიას" რეგისტრაციასთან შპს „კომპანია-ცენტრთან" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. №24, ტელ. 22-53-51.

**დირექცია**

◎ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– კარგა ხანია შემისრულდა საპენსიო ასაკი (63 წლის ვარ). მინდა გავიდე პენსიაში, მაგრამ არც სამსახური მეთმობა. ვმუშაობ დამოუკიდებელ (არასაბიუჯეტო) ორგანიზაციაში.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, პენსიაზე გასვლის შემდეგ, მაქვს თუ არა უფლება, იმავე დაწესებულებაში, ხელშეკრულებით განვაგრძო მუშაობა და თუ მაქვს, ეს როგორ უნდა გაფორმდეს?**

**მანანა სანებლიძე.**

– საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით.

ასე რომ, ქალბატონო მანანა, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენ პენსიაზე გასვლის შემდეგ უფლება გაქვთ იმუშაოთ შრომის ხელშეკრულებით (თუ ამას, ადმინისტრაცია მიზანშეწონილად ჩათვლის), მაგრამ აქვე გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონის თანახმად, მუშაობის პერიოდში პენსია არ მოგეცემათ.

* * *

**– გთხოვთ განმიმარტოთ, თბილისში მცხოვრებ ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირებს რა შეღავათები ეკუთვნით მოქმედი კანონის თანახმად?**

**მირიან კორინთელი.**

– ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად ეძლევათ ფულადი კომპენსაცია ყოველთვიურად 8 ლარის ოდენობით, ხოლო ამ კატეგორიის თბილისში მაცხოვრებლებს – 12 ლარის ოდენობით.

თბილისში მცხოვრები ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე გათავისუფლებული არიან საოჯახო ნარჩენების გატანის გადასახადისაგან, მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადზე უვრცელდებათ 50-პროცენტიანი შეღავათი და უფლება ეძლევათ უფასოდ მოიხმარონ 20 კუბ. მეტრის ღირებულების ბუნებრივი აირი.

* * *

**– ვცხოვრობ ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვარ მარტოხელა პენსიონერი. არ მიმიღია 2002 წლის 6 თვის სოციალური დახმარება. ჩემს მდგომარეობაშია დანარჩენი მარტოხელებიც.**

**გთხოვთ დაგვეხმაროთ და გაგვარკვიოთ, როდის მივიღებთ ჩვენს კუთვნილ გასული დროის დახმარებას?**

**ელისაბედ იორდანიშვილი.**

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის ბოლომდე სახელმწიფოს მიერ მოხდება ყველა სახის (მათ შორის საპენსიო და ყოველთვიური დახმარების) დავალიანების გასტუმრება, რის შესახებაც უფრო კონკრეტულ განმარტებას მოგცემთ, შესაბამისი ორგანოების მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

## განცხადება სს „გრემის" ლიკვიდაციის შესახებ

**სს „გრემი", რეგისტრირებული ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 18 სექტემბერს, რეგისტრაციის №7/5-35, აცხადებს ლიკვიდაციას, დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის ჩიხი №4, ტელ: 899 58-11-55.**

**ადმინისტრაცია.**

## შპს „აგრო-გარანტი" აცხადებს ლიკვიდაციას

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე:**

**ქ. თბილისი, მცხეთის ქ. № 17.**

## განცხადება სააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

**სს „ქუთაისის ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია იწვევენ სააქციო საზოგადოების აქციონერებს რიგგარეშე კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 11 ივლისს, 14 საათზე, ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის 88-ში მდებარე სააქციო საზოგადოების სხდომათა დარბაზში.**

**დღის წესრიგი:**

1. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში.
2. სს „ქუთაისის ავტოქარხნის" და მის მიერ დაფუძნებული საზოგადოებების ბიზნეს-გეგმების დამტკიცება.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2005 წლის 15 ივნისი.

დღის წესრიგის საკითხების გამო ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების დირექტორატში, ტელეფონი 7-50-21; 7-26-95.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელები ან მათი წარმომადგენლები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში 2005 წლის 15 ივნისს 18 საათის მდგომარეობით, რომელსაც აწარმოებს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ICT დელამენი" (თბილისი, აღმაშენებლის 153. ტელ: 94- 14-91, 94-18-28).

**სს „ქუთაისის ავტოქარხნის" სამეთვალყურეო საბჭო, დირექცია**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„საქართველოს რკინიგზა"

## ბრძანება

**2005 წ. 19 მაისი** **ქ. თბილისი № 221**

### რკინიგზით მგზავრთა გადაყვანის სეზონური ტარიფების შემოღების შესახებ

შპს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 15 მარტის № 31/66 და 4 მაისის № 32/67 დადგენილების შესაბამისად, ა/წ 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე სამგზავრო მატარებელზე სეზონური ტარიფების შემოღების და შესაძლო კორუფციული გარიგების მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით

**ვბრძანებ**

1. საზაფხულო სეზონზე, 2005 წლის 21 ივნისიდან 21 სექტემბრამდე შემოღებულ იქნეს სეზონური სამგზავრო ტარიფები, თანდართული ცხრილების მიხედვით.
2. I და II კლასის საწოლადგილიან ვაგონებში, მგზავრობის საფასურის გადახდასთან ერთად, მგზავრისათვის სავალდებულოა თეთრეულის საფასურის გადახდა (2 ლარი), ხოლო III კლასის ვაგონებში – მგზავრის სურვილის მიხედვით.
3. გაუქმდეს კომერციული დირექტორის 2005 წლის 27 იანვრის № კდ-54 განკარგულების შესაბამისად 31 იანვარს № კდ-67, № კდ-68, № კდ-70 და 1 თებერვლის № კდ-69-ით დამტკიცებული სატარიფო ცხრილები. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომერციულ დირექტორს (რ. გიორგაძე).

**გენერალური დირექტორი დ. ონოფრიშვილი.**

ცხრილი № 1



ცხრილი № 2



ცხრილი № 3



◎ ჩვენ და ბაზარი

# ხორცის ვაიბიზნესი... გარაჟში?!

**უახლოეს ხანში აგრარულ ბაზრებში რეფორმა დაიწყება. ამასთან დაკავშირებით პირველი ივლისიდან ბაზრებში არსებული ვეტერინარული ლაბორატორიები, რომლებიც დღეს სახელმწიფო დაქვემდებარებაშია, ბაზრის ადმინისტრაციის სტრუქტურებში გადავლენ.**

**აქედან გამომდინარე, ბაზრის ადმინისტრაცია თავად იქნება პასუხისმგებელი მის დაქვემდებარებაში მყოფი ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის მიერ შემოწმებული ხორცისა და ხორცპროდუქტების საიმედოობისთვის, ამასთან, ლაბორატორიებში მხოლოდ ის სპეციალისტები იმუშავებენ, რომლებიც სასერტიფიკატო გამოცდებს ჩააბარებენ და შესაბამის სერტიფიკატსაც მიიღებენ.**

**როგორ ხვდება ამ სიახლეს ცენტრალური სუპერმარკეტი („დეზერტირების ბაზარი")? როგორც მომხმარებელმა იცის, ამ ობიექტს არც საქონლის დეფიციტი აწუხებს და არც მყიდველ-გამყიდველის ნაკლებობა აღელვებს.**

ბაზრის ადმინისტრაცია დაუფარავად აღნიშნავს, რომ მართალია არც მყიდველი აკლიათ და არც გამყიდველი, მაგრამ ბაზარში თანხის ბრუნვას გარემოვაჭრენი უშლიდნენ ხელსო. მოგეხსენებათ, ბაზრის გარეთ პროდუქტის შემოწმება შეუძლებელია და არც გვევალება, მაგრამ ჩვენი მოვაჭრეთა უმეტესობა ფიქრობს, რომ უმჯობესია ერთ დღეს 3 ლარი არ გადაიხადოს, სამაგიეროდ, კარგია, თუ ბაზრის გარეთ იდგები და საქონელს ისე გაყიდი. ამიტომ მიაჩნიათ, რომ გარემოვაჭრეთა ბაზრებში შეყვანა დროული და ფრიად საშური საქმე იყო. კარგია, თუ განკარგულება არ შეიცვლება, გარევაჭრობასაც ბოლო მოეღება და მოსახლეობაც უფრო დაიმედებული იქნება, ბაზარში შეძენილი ხორცი და რძის პროდუქტები მათ ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებს.



თვით გარემოვაჭრენი კი უკმაყოფილებას ვერ ფარავენ, რადგან მათ უმეტესობას ბანკიდან საქონლის საყიდლად, კრედიტი აქვთ აღებული. ბაზარში რომ შემოვიდნენ, ვაჭრობა ჩავარდა და არც იციან, ვალს როგორ გადაიხდიან.

– სამი ათასი ლარი გამოვიტანე, ბანკიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქტები შევიძინე, მართალია გარეთ ვყიდდი, მაგრამ თანხა იმდენი მაინც ვერ დავაგროვე, ვალი დროულად გადამეხადა. ახლა აქ ვდგავარ ბაზარში, მაგრამ ვერაფერს ვყიდი, ძვირიაო ამბობენ მომხმარებლები, არ ვიცი, რა ვქნა... ამბობს ჩემთან საუბარში გაგრიდან დევნილი **იზოლდა აქუბარდია.**

ვეტლაბორატორიების საიმედო მუშაობის შესახებ მესაუბრა ბაზრის მთავარი ინსპექტორი, ქალბატონი **ნანა წულუკიძე:** გავაფართოვეთ და კეთილმოვაწყვეთ ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე ლაბორატორია, ამასთან შევძელით მათი თანამედროვე სადიაგნოსტიკო დანადგარებით აღჭურვა. ლაბორატორია რამდენიმე განყოფილებისგან შედგება, სადაც შემოწმდება პროდუქტი სახეობების მიხედვით. ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ დახლზე შეუმოწმებელი ხორცი არ გაგვეპაროს.

– ორი სამი დღის წინ, ამბობს მთავარი ინსპექტორი, – ყველამ ნახეთ ალბათ ტელევიზიით, ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის, ვეტდეპარტამენტის, დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ოპერატიული ინფორმაციის კვალდაკვალ, ბაზრის მოპირდაპირე მხარეს საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ კერძო გარაჟში როგორ აღმოაჩინეს ლეშად ქცეული 1 ტონამდე ხორცი, რომელიც გასაყიდად მზადდებოდა, ანდა რომელიმე ხორცის გადამამუშავებელ ობიექტს ჩააბარებდნენ,

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების (კილოობით) ფასი (ლარი) ცენტრალურ სუპერმარკეტში 2005 წლის 21 ივნისისათვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| საქონლის ხორცი | – 5.50-6.50 | კომბოსტო | – 0,40-0.50 |
| ღორის ხორცი | – 6-7.50 | ჭარხალი | – 0.60-1 |
| ბატკნის ხორცი | – 5-6 | სტაფილო | – 1.50-2 |
| ქათამი სოფლის | – 11-12 | ალუბალი | – 1-1.30 |
| ქათამი ფაბრიკის | – 4-8 | ბალი | – 1-1.50 |
| ყველი იმერული | – 3.50-4 | ატამი | – 2 -2,50 |
| სულგუნი | – 5.50-6 | გარგარი | – 2-4 |
| ყველი თუშური | – 13-15 | ალუჩა | – 0,80-2 |
| კვერცხი სოფლის | – 0,20-0,25 | ტყემალი | – 0,50-1 |
| კვერცხი ფაბრიკის | – 0.17–0.20 | ლიმონი | – 3 |
| კარტოფილი ძველი | – 0.50-0.80 | მწვანილი | – 0,80-1.50 |
| კარტოფილი ახალი | – 0.40-0.50 | ვაშლი ახალი | – 1-1.50 |
| | | მსხალი ახალი | – 2-2.50 |
| | | ქლიავი | – 1.50-2.50. |

მაგრამ ხორცი იმდენად იყო გაფუჭებული და ისეთ ანტისანიტარიულ გარემოში ამუშავებდნენ მას, ძალიან მეეჭვება, მისი ჩაბარება სადმე შეძლებოდათ. ის კი შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენთან დახლზე ნამდვილად ვერ მოხვდებოდა. ხორცის მეპატრონემ მართალია მიმალვა შეძლო, მაგრამ სამართალდამცავები გვპირდებიან, რომ მის კვალს უსათუოდ მიაგნებენ, გაფუჭებული ხორცი, რომელიც უმეტესად ცხენისა იყო, დაილუქა და სინჯი ლაბორატორიაში გაიგზავნა.

მდგომარეობას ართულებს ის, რომ შეუმოწმებელი ხორცი და ხორცპროდუქტები შეიძლება ფულზე დახარბებულმა ვაჭარმა ჩანთით 2-3 კილოობით შემოიტანოს ბაზარში.

როგორც ბაზარში გამოვიკითხე, ეზოებში და გარაჟებში ხორცის გაყიდვის ეს შემთხვევა ერთეული ნამდვილად არ ყოფილა, ყველამ იცის, რომ ეს ასე ხდება. საინტერესოა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები, რომლებიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე არცთუ ცოტანი არიან, ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.? ისიც გავიგე, რომ, არ არის თითქმის არც ერთი დღე, ბაზარში რაიმე კონტრაბანდული საქონელი არ აღმოაჩინონ. – მაგალითად, ორი დღის წინ, ამბობს ქალბატონი ნანა წულუკიძე, – 12 კილოგრამი სათალი გავანადგურეთ, არანაირი ცნობა და ლიცენზია არ ჰქონდა მის გამყიდველს. თუ პროდუქტს საჭირო საბუთი არ აქვს, კანონით გვაქვს მონიჭებული უფლება, რომ ადგილზევე გავანადგუროთ, თორემ ერთი ადგილიდან აიღებენ, მაგრამ სხვაგან დადგებიან და გაყიდვას შეძლებენ...

ბოსტნეულსა და ბაღჩეულს აქ ორგანოლეპტიკურადაც ამოწმებენ და ნიტრატების შემცველობაზეც. ღორის ხორცს უმეტესად ტრიქონელოზზე, თუ დაავადება აღმოაჩნდება, მას აუცილებლად გაანადგურებენ.

ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ბაზრის ადმინისტრაცია კვლავ აფრთხილებს მოსახლეობას – ნუ შეიძენენ ბაზრის გარეთ და მით უმეტეს ანტისანიტარიულ გარემოში შეუმოწმებელ პროდუქტებს.

**ნაზი იმნაიშვილი**

№ 146. ოთხშაბათი, 22 ივნისი, 2005 წელი.

## პანორამა

### არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი კურკიდან შეძლეს ფინიკის პალმის გამოზრდა



**ასეთი** განცხადება გააკეთეს იერუსალიმის ბუნებრივი მედიცინის კვლევის ცენტრის მეცნიერებმა. ფინიკის რამდენიმე კურკა იპოვეს ჯერ კიდევ 30 წლის წინათ ისრაელის მთებში, მასადის უძველეს ციხე-სიმაგრეში გათხრების დროს. ერთ-ერთმა კურკამ გამოიღო აღმონაცენი, რომელიც 30 სანტიმეტრი სიგრძის მცენარედ იქცა. პატარა პალმას უწოდეს ბიბლიური პატრიარქის მათუსალას სახელი.

### რუსეთის გენპროკურატურამ განაცხადა, რომ დადგენილია ბუდიონოვსკის ტერაქტში მონაწილე 195 ბანდიტის ვინაობა



**„ამ** საქმის გამოძიებას აქვს მონაცემები ბანდის 195 წევრის შესახებ, რომლებიც ზუსტად 10 წლის წინათ მონაწილეობდნენ დაღესტნის ქალაქ ბუდიონოვსკზე განხორციელებულ თავდასხმაში. 30 ბანდიტი მაშინ მოკლეს, 20 კი – გაასამართლეს", – განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკოლოზ შეპელმა. როგორც მან თქვა, ტერაქტში მონაწილე როზა დუნდაევას მონაცემებით, ბანდიტების თავდასხმის მიზანი იყო მინერალური წყლების კურორტი, მაგრამ გარკვეული მოვლენების გამო, მოთარეშეებს მოუწიათ ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე. არსებობს ასევე ვარაუდიც, რომ ტერორისტები მინერალურ წყლებში ეცდებოდნენ თვითმფრინავის ხელში ჩაგდებას, რათა იერიში მიეტანათ კრემლზე.

### რუსეთის არმიაში გასულ კვირას დაიღუპა 46 სამხედრო მოსამსახურე

**8 მათგანმა** თავი მოიკლა. დაღუპულთა უმრავლესობა – 37 კაცი – რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურე იყო, 9 კაცი კი სხვა ძალოვან უწყებებში მსახურობდა. გარდა ამისა, გასულ კვირას კიდევ ორმა სამხედრო მოსამსახურემ სცადა თავის მოკვლა, 20 კაცმა მიიღო მძიმე ტრავმები, 22 კი – დაიჭრა. ეს მონაცემები მოიყვანეს რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის წარმომადგენლებმა.

### რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ გააუვნებლეს დაჯგუფება, რომელიც ინტერნეტში ავრცელებდა პორნოგრაფიას



**დამნაშავეთა** ჯგუფს ხელმძღვანელობდა 23 წლის მოსკოველი. სწორედ მან დააარსა ნიჟნი-ნოვგოროდში ფოტოსტუდია, რომელშიც პორნოგრაფიულ პროდუქციას აწარმოებდნენ. ფოტო და ვიდეო ფირებს გზავნიდნენ მოსკოვში, სადაც მათ განათავსებდნენ ინტერნეტის ფასიან პორნოსაიტებზე და უგზავნიდნენ შემკვეთებს, მათ შორის ამერიკელებსაც. მიწოდებული პროდუქციის საფასურს კლიენტები ანაზღაურებდნენ ელექტრონული საგადასახადო სისტემის მეშვეობით.

### მექსიკაში იპოვეს წერაყინი, რომლითაც რამონ მერკადერმა მოკლა ლევ ტროცკი



**მკვლელობის** იარაღი 65 წლის წინათ გაიტაცეს მექსიკის პოლიციიდან. პოლიციის კაპიტნის ალფრედო სალასის ქალიშვილი კი ამტკიცებს, რომ მასთან სახლში ინახება წერაყინი, რომელსაც ამჩნევია სისხლის კვალი. ამ ქალბატონის მტკიცებით, მისმა მამამ მკვლელობის იარაღი „სამახსოვროდ" შეინახა. მექსიკაში მცხოვრებმა ტროცკის შვილიშვილმა – სევა ვოლკოვმა განაცხადა, რომ მზად არის, ჩააბაროს სისხლი ანალიზისთვის. თუ დაადგენენ, რომ მართლაც ამ წერაყინით მოკლეს ტროცკი, მაშინ ნივთმტკიცებას მუზეუმს გადასცემენ.

### ყველაზე ეჭვიანი მამაკაცები ბრაზილიაში ცხოვრობენ, ღალატისადმი ყველაზე გულგრილები კი – იაპონიაში



**როგორც** ბრიტანელი მეცნიერების მიერ განხორციელებული გამოკვლევა ცხადყოფს, ეს დამოკიდებული ყოფილა შობადობის დონეზე – რაც უფრო მაღალია შობადობა, მით უფრო მეტ მამაკაცს ეშინია მეუღლის მხრიდან ღალატის.

## შენ – ნიჭო ჩემო!

# როგორ გახდა სარინო სარინოში გაზრდილი ბიჭი...

**ვინ არ გაუტაცნია ღამით ვარსკვლავებით მოჭედილ ცას თავისი იდუმალი სილამაზით? ვინ არ ჩაუფიქრებია ცის უსაზღვროებას და მასში ჩამალულ საიდუმლოებებს? ლადო სამუშია სკოლის წლებიდან დაინტერესდა კოსმოსის ამ იდუმალებით, იგი მე-6 კლასის ჩათვლით სოხუმის მე-11 სკოლაში სწავლობდა, შემდეგ, აფხაზეთიდან დევნილმა, დედულეთში – წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს სკოლაში განაგრძო სწავლა, სადაც განსაკუთრებით ფიზიკის სიყვარულით გამოირჩეოდა და მონაწილეობდა კიდეც ფიზიკაში გამართულ ყველა რესპუბლიკურ ტურსა და ოლიმპიადაში.**

საჩინოელი მოსწავლის ფიზიკით დაინტერესება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ როგორც მისი სკოლის პედაგოგებს, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მაშინდელ დეკანს ჯემალ მებონიას. ლადო სამუშია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე გასაუბრებით ჩაირიცხა.

ლადომ უნივერსიტეტი 2002 წელს წარჩინებული დიპლომით დაამთავრა, შემდეგ დაამთავრა მაგისტრატურაც და აი, ბედიც ჩაერია: 2004 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კანზასისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომუშავე ფიზიკოსმა თინა კახნიაშვილმა პროფესორ გოგი ჩაგელიშვილის ხელმძღვანელობით აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ჯგუფში გაიცნო იგი და სწავლის გასაგრძელებლად შარშან ივნისში ამერიკაში მიიწვია.

– ვარ პიეჩიტის სტუდენტი, – ამბობს ლადო, – ეს არის ქართული ასპირანტურის ეკვივალენტი. იქ ყოფნის დრო ჩემს ხელმძღვანელზეა დამოკიდებული და 4 ან 6 წლით განისაზღვრება. სტიპენდია 1000 დოლარი მაქვს. სტუდენტისთვის ეს თანხა სავსებით საკმარისია. კევინ კნობესთან, მეთიუ ბერგთან, ენდრიუ ჯონსონთან და ადამ შულცთან ერთად უნივერსიტეტთან ახლოს ნაქირავებში ვარ. მათთან ცხოვრება არ მიჭირს. უკვე ბევრი რამ გავიგე ჩემი მეგობრების შესახებ. მათ გავაცანი საქართველოს ისტორია, დღევანდელობა...

ლადო სამუშია ამერიკის ამ უნივერსიტეტში კოსმოლოგიაში მაღალი ენერგიის ფიზიკაზე მუშაობს.

**ნათელა ფაილოძე.**



**სურათზე: ლადოს თანაკურსელები მარცხნიდან: ირანელი მოჯგან მოტლაბი, ბერძენი იანის ჩაციკისი, პროფესორი ლარი ვივერი (მათი ჯგუფის ხელმძღვანელი), რუსი ირინა ბოჩაროვა, ქართველი ლადო სამუშია, ამერიკელი ქრისტეფერ ნაკამურა, ინდოელი დიპანისატა რაი და ჩინელი ჯი ლი.**

### განცხადება

**თბილისის** საქალაქო სასამართლოს საკონკურსო კომისია აცხადებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად 2005 წლის 28 ივნისს 10 საათზე სარაჯიშვილის ქ. №1ა (ყოფილი გლდანი-ნაძალადევის სასამართლო) ჩატარდება კონკურსი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად.

**სს რუსეთის** ეეს. საქ. ფილიალი აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: მარშალ გელოვანის №2. ტელ: 25-18-91.

**სს „საქქალაქმშენპროექტის"** დირექცია იუწყება, რომ აქციონერთა აღრიცხვის თარიღად დადგენილია 2005 წლის 7 ივნისი, დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად 2005 წლის 23 ივნისი.

### კონკურსი დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 99-87-03 (რუსთაველის პრ. 52, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ოთახი 435).

## ევროპის ჩემპიონატი

# მედლებისთვის არახამია და ფურცელაძეც იბრძოლებენ



**მოლდოვას დედაქალაქ კიშინიოვში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის VI ჩემპიონატი. გუშინ გაიმართა მე-10 ტურის პარტიები. ლიდერები – ელენა ზაიაცი და ნადეჟდა კოსინცევა დაზავდნენ. მათ ახლა 7,5-7,5 ქულა აქვთ.** ამდენივე ქულა მოაგროვეს კატერინა ლაჰნომ და ჯაოფინ პენგმა, რომლებმაც შესაბამისად, ნატალია ზდებსკაია და ლელა ჯავახიშვილი დაამარცხეს. საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი ქეთევან არახამია-გრანტმა და მაკა ფურცელაძემ, რომლებიც ნახევარ-ნახევარ ქულით ჩამორჩებიან დაწინაურებულთ. ასევე 7-7 ქულა აქვთ ვიქტორია ჩმილიტეს, სვეტლანა მატვეევას, სილვია კოლაშს, ელინა დანიელიანს, ტატიანა ვასილევიჩს, ტატიანა გრაბუზოვას, იელენა დემბოს და ლილით მკრტჩიანს.



გუშინ ნანა ძაგნიძემ ირინა ვასილევიჩთან წააგო, სოფიო გვეტაძემ მარტა ზიელინსკასთან დათმო შეხვედრა, ნინო ხურციძემ ნატაშა ბოიკოვიჩი დაამარცხა, მაია ლომინეიშვილმა დარია ხაროშკინას სძლია, ხოლო ანა მათნაძემ ლილით გალოიანს დააყრევინა ფარ-ხმალი, თამარ წერეთელი ყაიმზე შეუთანხმდა იულია დიომინას.

ათი ტურის შემდეგ, როგორც ზემოთ გაუწყეთ, ქართველთაგან ფურცელაძეს და არახამიას 7-7 ქულა აქვთ, ჯავახიშვილს, ხურციძესა და ლომინეიშვილს – 6,5 (თითოეულს), მათნაძეს და წერეთელს – 6, ძაგნიძესა და გვეტაძეს – 5,5 ქულა.

მეთერთმეტე ტურში ითამაშებენ ნ. კოსინცევა – პენგი, ჩმილიტე – ლაჰნო, მატვეევა – ზაიაცი, კოლაში – არახამია, ფურცელაძე – მკრტჩიანი, ჯავახიშვილი – კონონენკო, ხურციძე – კორბუტი, სებაგი – ლომინეიშვილი...

ევროპის მოჭადრაკე ქალთა VI ჩემპიონატი ხვალ დამთავრდება.

**სურათზე: მაკა ფურცელაძე.**

## ქართული ჭიდაობა

# „საააკაძეობაზე"



**კასპში გიორგი სააკაძის 430 წლის საიუბილეო ზეიმზე ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება ლამაზად და საინტერესოდ წარიმართა. მთელი დღე მაყურებელი არ მოჰკლებიათ ხოვლელი მეზურნეების ჰანგებზე დაჭიდებულებს. ამ დაძაბული ასპარეზობის მთავარი მსაჯი გახლდათ ლეგენდარული ფალავანი ლავრენტი კაციაშვილი, რომელსაც ტურნირის დღეს 78 წელი შეუსრულდა. კასპის რაიონის სოფლების მკლავმაგარ ბიჭებს გორელი, მარტყოფელი, ქარელელი, თბილისელი და ხაშურელი მეტოქეები დაუპირისპირდნენ.**

მზის ჩასვლისას მორკინალთა ნაჯაფი რომ შეაჯამეს, მარტყოფელთა უპირატესობა აშკარა იყო და მთავარი პრიზიც მათ მოიპოვეს, რაც, ალბათ, სიმბოლურიცაა გიორგი სააკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში. დიდმა მოურავმა ხომ სწორედ მარტყოფის ველზე იზეიმა გამარჯვება...

გასულ შაბათს კი კასპის სარბიელზე წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ გიორგი ბახტაძე (60 კგ. მეტეხი), ზვიად ბაზანდარაშვილი (70 კგ. კარალეთი), გიორგი შინჯიკაშვილი (80 კგ. მარტყოფი), ტარიელ მინესაშვილი (90 კგ. მარტყოფი), გივი ტატანაშვილი (+90 კგ. მეტეხი).

აბსოლუტური ფალავნობა და „სააკაძის თასი" გიორგი შინჯიკაშვილმა დაიმსახურა.



ორგანიზატორთა თქმით, ამიერიდან კასპსა და ნოსტეში „სააკაძეობა" და ქართული ჭიდაობა სისტემატურად გაიმართება.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათებზე: მთავარი პრიზის მფლობელი გიორგი შინჯიკაშვილი; კასპის სარბიელზე.**

**ავტორის ფოტო.**

## ცხოვრების ჯანსაღი წესი

# „წითელი ბურთები" – გრიგოლეთში

**გუშინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ წლეულს მარტში ევროსაბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო პროექტის – სახელწოდებით „წითელი ბურთები" – საქართველოში ჩატარების შესახებ. საგულისხმოა, რომ ეს პროექტი ევროსაბჭოს სპორტის განვითარების ბიუროზე კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ წარადგინა.**

როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, პროექტი 4-24 ივლისს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ, დაბა გრიგოლეთში სამინისტროს პატრონაჟით განხორციელდება. მისი მიზანია, სახალისო სპორტისა და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, იძულებით ადგილნაცვალი და ლტოლვილი ოჯახების ახალგაზრდა წევრთა სოციალური რეაბილიტაცია – მოზარდების ფიზიკური გაჯანსაღება, პატრიოტიზმისა და ჰუმანური სულისკვეთების ამაღლება.

ოცი დღის განმავლობაში გრიგოლეთი 14-17 წლის 200-მდე მოზარდს უმასპინძლებს. ინსტრუქტორები ჩამოვლენ დიდი ბრიტანეთიდან, რომლებიც სპორტულ ინვენტარსა და ფორმებსაც ჩამოიტანენ.



პროექტის ორგანიზატორები არიან: ევროპის საბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტი, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირი, აფხაზეთის დევნილთა და ლტოლვილთა ასოციაცია „სიგმა", დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ახალგაზრდობის სპორტის ფონდი, პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ შვეიცარიის სააგენტო „განვითარებისა და თანამშრომლობისთვის", შვედეთის იუსტიციის სამინისტრო, კვიპროსის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, დიდი ბრიტანეთის მთავრობა, უეფა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

დევნილ და ლტოლვილ მოზარდებს სულიერი რეაბილიტაციის შესანიშნავი საშუალება ეძლევათ.

**ლექსო ცინცაძე.**

## ძიუდო

# ერთი „ვერცხლი" და ორი „ბრინჯაო"

**ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის პირველობა. შეჯიბრებაში ქართველი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ.** 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში არსენ მაჭარაშვილი მხოლოდ ფინალურ შერკინებაში დამარცხდა ბრიტანელ იან-რენე ბადრიკთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. რობერტ მშვიდობაძეს (55 კგ.) და კონსტანტინე მუკვანს (90 კგ.) „ბრინჯაო" ხვდათ, პაატა მერებაშვილი (50 კგ.) და ვარლამ ლიპარტელიანი (73 კგ.) მეხუთე ადგილებზე გავიდნენ. ბეთქილ მუკბანიანი (81 კგ.) და ლევან მუქერია (90 კგ.) შეჯიბრებას ადრევე გამოეთიშნენ. 60 კილოში კი, მონაწილე საერთოდ არ გვყოლია.

## მადლობა

# სიკეთის პასუხად

**ამას წინათ, როგორც გაუწყეთ, თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი – გიორგი უდესიანი) თაოსნობით წყნეთის ბავშვთა სახლში საქველმოქმედო აქცია მოეწყო – მოზარდებს სპორტული ინვენტარი და კვების პროდუქტები გადასცეს.**

„ბატონო გიორგი, მიიღეთ ჩვენგან და ჩვენი აღსაზრდელებისგან დიდი მადლობა გულისხმიერებისა და თანადგომისთვის. გწამდეთ, რომ სიკეთე ათასად დაგიფასდებათ, რადგან უკვალოდ არასდროს არაფერი იკარგება ამქვეყნად. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი", – ასეთი შინაარსის წერილი მიიღო ამ დღეებში გიორგი უდესიანმა, რომელსაც წყნეთის ბავშვთა სახლის პედაგოგთა და აღსაზრდელთა სახელით ხელს აწერს დირექტორი მანანა წილოსანი.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, რომ ისინი კვლავაც არაერთხელ მოაწყობენ მსგავს აქციას, რათა უდედმამო ბავშვებს სითბო და სიყვარული აგრძნობინონ.

**გიორგი გაგუა.**

## ჭადრაკი ოთხშაბათობით

# „დამოკლეს მახვილი"

**დიაგრამაზე წარმოდგენილია ილია შუმოვის (1819-1881) სახვითი ამოცანა. ფიგურების განლაგება ფორმით გვაგონებს მახვილს – მუდმივი საშიშროების სიმბოლოს. შუმოვი მსოფლიოში აღიარებული წიგნის „სკახოგრაფიული ამოცანების კრებულის" (1867) ავტორია.**

Scacco – იტალიურად ჭადრაკია, ხოლო grapho – ბერძნულად ვწერ, გამოვსახავ. ამ ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ს. ლოიდი, ე. ბერდი, ა. პეტროვი, ტ. გორგიევი, ე. პოღოსიანცი და სხვა.

რაც შეეხება „დამოკლეს მახვილის" ისტორიულ ვერსიას, ბერძნული თქმულების მიხედვით, სირაკუზელმა ტირანმა დიონისე პირველმა (V ს. ჩვ. წ. აღ.) ერთი დღით ტახტი დაუთმო თავის ფავორიტ დამოკლეს, რომელიც დიონისეს მოკვდავთა შორის უბედნიერეს ადამიანად თვლიდა. დამოკლემ ლხინის დროს შეამჩნია ტახტის ზემოთ აღმართული მახვილი, რომელიც ცხენის ძუაზე იყო დაკიდებული და საფრთხეს უქმნიდა ტახტის მფლობელს.

დამოკლე მიხვდა, რომ დიონისეს კეთილდღეობას საშიშროება ემუქრებოდა.

**თამაზ შენგელია.**

**ი. შუმოვი**

**„დამოკლეს მახვილი"**

**1867 წ.**



**შამათი 3 სვლაში**

**I ვარიანტი:**

1. ეf3! მფg2
2. მe3 + მფg1
3. ეf1 X

**არის ამოხსნის სხვა ვარიანტებიც.**

## სპორტულ ორბიტაზე




### ბებერი ხარისაო...

**ფინიშთან მისული ეს მხცოვანი სპორტსმენი 95 წლის იაპონელი კოძო ხარაგუტია.** მან ეს-ესაა დაამყარა მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე სირბილში 95-დან 99 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. ეს სპრინტერული დისტანცია მან 22,04 წამში გაირბინა, რაც თითქმის 2 წამით უკეთესია ავსტრალიელი მორბენლის მიღწევაზე, 6 წლის წინათ რომ დამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგუტი მარტო დარბოდა, რადგან ღირსეული მეტოქე ვერ უპოვეს.

### ირანელ ქალებს – ადგილი ტრიბუნებზე!

**ირანში ფეხმოკიდებული სოციალური ქცევის ნორმების თანახმად, ქალებს ეკრძალებათ სპორტული შეჯიბრებების ტრიბუნებზე ყოფნა.**

ბუნებრივია, ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბოლო ხანებში აქტიურად მოითხოვენ ამ დრომოჭმული წესების შეცვლას. მაგალითად, ირანის ქალთა ასოციაციამ მოითხოვა ფრენბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე, რომელიც ამ დღეებში თეირანში უნდა გაიმართოს, დასწრების ნებართვა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ უარი მიიღეს იმის მომიზეზებით, რომ „სპორტული ტრიბუნები მოწყობილი არ არის ქალთა სქესის დასასწრებად". (?!)

ქვეყნის ხელისუფალნი ასეთ აკრძალვას იმით ხსნიან, რომ ტრიბუნები მოწყობილი არ არის კაცებისა და ქალების ცალ-ცალკე მოსათავსებლად. თანაც, როგორც ერთმა გულშემატკივარმა მამაკაცმა ახსნა, ქვეყანაში გამეფებულია რწმენა, რომ თუკი ქალები ესწრებიან შეჯიბრებას, ირანული გუნდი აუცილებლად დამარცხდება სტუმრებთან.



### კივილს მოაშლევინებენ?

**გუშინწინ ლონდონში დაიწყო ჩოგბურთში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება – უიმბლდონის ტურნირი.**

როგორც გახსოვთ, შარშან აქ სენსაცია მოახდინა ნორჩმა რუსეთელმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ. უძლიერეს მეტოქეებთან პაექრობაში სწორედ ის დაეუფლა ქალთა შორის მთავარ პრიზს.

მის გასაოცარ სპორტულ აღმასვლაზე მთელი წლის მანძილზე ბევრს ლაპარაკობდნენ და განსაკუთრებით ლაპარაკობენ ახლა, როცა ისევ დაიწყო ბრძოლა სანუკვარი პრიზისთვის.

ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კორტებზე შარაპოვას არაორდინარულ საქციელს, კერძოდ კი, ბურთის მიღებისა თუ ჩაწოდების დროს მის უჩვეულო კვნესასა თუ კივილს, რის სიმძლავრესაც სპეციალისტები 100 დეციბალად აფასებენ, ეს კი 10 დეციბალით ნაკლებია ასაფრენად მომზადებული თვითმფრინავის გრიალზე. როგორც გაზეთი The Sun აღნიშნავს, ამ მხრივ შარაპოვა აბსოლუტური რეკორდსმენია. სამწუხაროდ, სწორედ ეს შეიძლება გახდეს მისი დისკვალიფიკაციის მიზეზი. როგორც კორტზე მისი მეტოქეები აცხადებენ, მარიას ასეთი კივილი გზაკვალს უბნევს მათ, რის გამოც შარაპოვა რამდენჯერმე გააფრთხილეს კიდეც.

თავად მარია კი აცხადებს, რომ ის ასე 4 წლიდან კივის და არ იცის, რა გააკეთოს. როგორც ბრიტანული გაზეთები წერენ, ის მხოლოდ კი არ კივის, არამედ ჭყივის, ხვნეშის, კვნესის. ჩოგბურთის წესებში კი გათვალისწინებულია სასჯელი „ხელის შეშლისთვის".

სათამაშო სიმშვიდის დამრღვევთა შორის არიან აგრეთვე დები უილიამსები, ლინდსეი დევენპორტი, ელენა ბოვინა და სხვა.



## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ახალდდაქორწინებულები გალინა რუხაძე და დავით ლეკვეიშვილი. სურათი გადაღებულია 1941 წლის 22 ივნისს ქ. თბილისში.

მოგვაწოდა ომარ ლეკვეიშვილმა

## გიხაროდენ!

### „ბიბიდაში“ დაიბადა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ნუნუ თამაზაშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს ამ დღეებში თბილისის სამშობიარო სახლ „ბიბიდაში“ პირველი შვილი ნიკოლოზი შეეძინათ. ბიჭის დაბადებით გაიხარეს ჩვილის პაპა-ბებიებმა დედოფლისწყაროელებმა თამაზ თამაზაშვილმა და მაია პაპიაშვილმა, ტარიელ ღარიბაშვილმა და მარინა ყორანაშვილმა. ნიკოლოზი პირველი შვილიშვილია.

ბედნიერი მშობლები დიდად ემადლიერებიან „ბიბიდას“ გამოცდილ ექიმებს დიმა ტოკლიკიშვილსა და დათო დავარაშვილს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის.

პირველ შვილს ვულოცავ ნუნუს და ირაკლის, ბედნიერ მშობლობას ვუსურვებ.

ნანა ჭიჭინაძე

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ხვალისთვის არაფერი დაგეგმოთ, ფურშეტი გვექნება.

— მაგრამ ფურშეტი ხომ დღესაა?

— ჰოდა, ამიტომაც გეუბნებით, ხვალისთვის არაფერი დაგეგმოთ.

* * *

— გუშინ საღამოს თქვენთან ყველი ვიყიდე...

— მახსოვხართ, მერე?

— თქვენ მითხარით, შვეიცარიულიაო...

— დიახ.

— ახლა მაინტერესებს, იგი შვეიცარიიდან იმპორტირებულია თუ დეპორტირებული?

* * *

— ეს თუ ბივშტექსია, მე ნამდვილი იდიოტი ვყოფილვარ, — ეუბნება რესტორნის გაღიზიანებული კლიენტი ოფიციანტს.

— ეს ბივშტექსია, — უპასუხებს ოფიციანტი, მერე კიდევ დაკვირვებით დახედავს კერძს და დასძენს, — ეს ნამდვილი ბივშტექსია.

* * *

ნიკა მიხოსთან შედის სტუმრად.

— გამარჯობა, მიხო, ეს რას აკეთებ? — ეკითხება მასპინძელს, რომელიც საყასბო დანას ლესავს.

მიხო მდუმარედ განაგრძობს დანის ლესვას.

— რას აკეთებ-მეთქი, კაცო, სად არის ვანო?

— ვანო მოკვდა.

— როგორ თუ, მოკვდა? როდის?

— ხვალ...

* * *

— მართლაც უცნაური ქვეყანაა ეს ბელორუსი.

— რატომ გგონია ასე?

— აბა, შეიძლება ქვეყანას ტრაქტორის სახელი ერქვას?

* * *

— ხუთი კილო კარტოფილის ყიდვა კი მინდა, შვილო, მაგრამ ვშიშობ, რომ წაღება გამიჭირდება, — ეწუწუნება გამყიდველს დედაბერი.

— ნუ გეშინია, ბებო, შენ იყიდე და მე ისე აგიწონი, რომ წაღება არ გაგიძნელდება.

* * *

— ან დალევა უნდა მიატოვოთ, ან მხედველობას გამოეთხოვოთ.

— ვაი, შე საწყალო ჩემო მხედველობავ!

## თითქმის ნატურიდან

# დღეს გავყიდი, ხვალ ვიყიდი

წინადღის თავსხმამ გოგალოს ძილი გაუფრთხო. დილას უთენია წამოხტა, წერაქვს, ნიჩაბს, ბარს წამოავლო ხელი და მეზობელს მიადგა:

— უნაფქო, ბიჯო, ისევ გძინავს?

— ჰოო, — მოესმა მეზობლის ღმუილი.

— რა ძილქუში დაგაწვა, ვერა ხედავ, ქვეყანა წყალს მიაქვს?

— რომელ წყალსა, კაცო, ჩვენი სოფლის ხევსა?

— შენ ხევი ეძახე, ერთი ასეთი წვიმაც და ზვარ-ბოსტან-სახლიანად წაგვიღებს.

— მერე რა ვქნა, ქოლგა მივაფარო? — მოიფშვნიტა თვალები უნაფქომ.

— სოფლის ბიჭებს ჩამოვუაროთ და ხევს ჯებირი გავუკეთოთ.

— მოგცლია ერთი, ჯერ ხომ არ ადიდებულა და წინასწარ ფეხები რაზე დავიბანო?

— ბიჯოო, შენ რა ჩვენი მთავრობასავით ლაპარაკობ?

— მთავრობა რა შუაშია?

— შენსავით წინდახედულია, წყალი სოფლებს რომ წაიღებს, კომისიებს მერეღა ქმნის.

— რატო კომისიებს, ფულსაც ხო იძლევა?

— გოგალო, ნუ ხარ ეგეთი დაუნახავი, ხანდახან მთავრობაც ხომ უნდა შეიცოდო?

— მთავრობას რა სჭირს შესაცოდი?

— ისა, რომა რაც ფული იშოვა, სულ ამ ოხერმა წყალდიდობამ წაართვა.

— ერთი შენცა, როდის იყო, მთავრობის სეიფებში წყალი შედიოდა?

— სეიფები თუ არა, ბიუჯეტი ხომ აზარალა?

— ეგრეა, — ჩაიქირქილა გოგალომ, — ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს.

— წინაკლანელებს რომ ფული დააყრევინეს, იმაზე ამბობ?

— აბა რაზე, არაუშავს, ახლა მიწებს გაყიდიან და დანაკლისს ორმაგად აინაზღაურებენ.

— ეგეთია წესი, — თავი გამოიდო უნაფქომ, — ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მიწები „ფოლკსვაგენივით“ იყიდება.

— მერე, ჩვენ დემოკრატიული ქვეყანა ვართ?

— აბა, ვინა ვართ, ვერ გაიგე, ბუშმა დემოკრატიის შუქურა გვიწოდა.

— ქართული ხინკლის მერე აბა რას იტყოდა. ჩვენ ის გვირჩევნია, ტრაბახს მოვეშვათ და მიწებს მივხედოთ.

— მოგცლია ერთი, რახან ვყიდით, მიწების მოვლაზე ფული რატომღა ვხარჯოთ?



— ეტყობა, ბენდუქიძეც შენსავით ფიქრობს.

— სწორადაც იქცევა, თავი მოიწონა უნაფქომ, — უძრავი ქონება მოძრაობაში მოყავს — ეს საბაზრო ეკონომიკის კანონია.

— მერე იმ მოძრავ ქონებას სხვები რომ მოასხდებიან?

— ვინ სხვები?

— ვთქვათ, აზერბაიჯანელები, სომხები, გერმანელები, სომალელები და ასე შემდეგ.

— იჰ, აზერბაიჯანელები მიწებით უკვე ყელამდე არიან.

— როდის მოასწრეს?

— მამალაძის გუბერნატორობის დროსა მიწების მეტი რა იყიდებოდა?

— გინდა თქვა, რომ მამალაძე ბენდუქიძეზე ჭკვიანია?

— აბა რას ამბობ, მამალაძე მიწას კაპიკებად ყიდდა, ბენდუქიძე — მილიონებად.

— მაგრამ მიწები სულ თუ გავყიდეთ, ჩვენვე რომ დაგვჭირდეს, სად გავიქცეთ?

— ეგ კითხვა სხვათა შორის ბენდუქიძესაც დაუსვეს.

— რა უპასუხა?

— თქვენ არხეინად იყავით, თუ დაგვჭირდა, ისევ ვიყიდითო.

— ვისგან, კაცო, ვისაც მივყიდეთ, იმისგანა?

— ჰო, რა მოხდა, დღეს გავყიდით, ხვალ ვიყიდით, ასეთია კაპიტალიზმის ბუნება.

— მაგრამ ჩვენს მიყიდულს ხომ უფრო ძვირად მოგვყიდიან?

— მერე რა, იმ ძვირად მოყიდულს ჩვენ შემდეგ უფრო ძვირად გავყიდით.

— გერმანელებსაც ასე მოვექცევით და ინგლისელებსაც?

— რა თქმა უნდა, თანაც მათთან ეკონომიკურთან ერთად სამიწო ინტეგრაციაშიც შევალთ.

— როგორ ფიქრობ, გლეხებმაც უნდა გავყიდოთ მიწები? — ჩაეძია გოგალო.

— მაშ როგორ, ბიზნესში ჩავერთვებით და დიდ ფულს ვიშოვით.

— მერე, შენსავით უნაფქოდ რომ დავრჩებით?

— იმ ფულით, ჩემო ძმაო, ფქვილსაც ვიყიდით და ყველსაც.

— ესე იგი, ჯებირის გაკეთებაზე ხელი ავიღოთ?

— მაშა, ვინც მიწას იყიდის, იმანვე შეაკეთოს.

— მაგრამ მანამდე მიწები წყალდიდობამ თუ წაგვართვა?

— უნდა დავტრიალდეთ, მთავრობას გვერდში ამოვუდგეთ და მიწები მომავალ წყალდიდობამდე გავყიდოთ.

— მერე, მოვასწრებთ?

— უნდა მოვასწროთ!

ოთარ ხუციშვილი

## ალიართალი — ბალიართალი

# რაც კალმის წვერს წამოედო...

### ამირჩიე!

მძღოლი მხიარული კაცია. თვითონაც გულიანად იცინის და ჩვენც გვაცინებს. გორის „ტექთან“ მანქანას აჩერებს, ვაშლი უნდა ვიყიდოო. ჩვენც, მუხლის გასაშლელად, მანქანიდან გადმოვდივართ. როცა ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ, ვხედავთ, მძღოლი ისევ გულიანად კუჭკუჭებს.

— გამყიდველს ვეუბნები, როგორც ცოლი აარჩიე, ვაშლიც ისე საგულდაგულოდ ამირჩიე-მეთქი.

— მაშინ მოტყუებული დარჩები... — მეუბნება.

— რატო, კაცო, არ გამოგადგა?

— გამომადგა?! ფუჰ! — გულიც თან ამოატანა.

მეტი რაღა უნდა ეთქვა? მეც ავდექი და იმას დავჯერდი, რაც შემომთავაზა.

### ეგეც შენ!

ამ სახლის მეხუთე სართულზე ულამაზესი ქალი ცხოვრობს. შურით ავხედავ ხოლმე ჭადარს, რომელიც დღე და ღამე მის ფანჯრებში იცქირება და თითქოს ნიშნს მიგებს, შენ რა იცი, რა საიდუმლოებების მომსწრე ვარო.

ამას წინათ ისევ გავიარე იმ ქუჩაზე. ჭადრებს ჯაჭვა ხერხით შესეოდნენ და ამამლაყინწებულ ტოტებს აჭრიდნენ. თვალი ლამაზი ქალბატონის ფანჯრებისკენ გამექცა. ის ჭადარი უკვე გადაებელათ — მეხუთე სართულს ვეღარა სწვდებოდა.

— ეგეც შენ! — ახლა მე მივუგე ნიშნი — ორი-სამი წლით მაინც დავისვენებ!

### ლარიანები მუჭში

ეს რამდენიმე თვეა, მეტროში შემოდის სუფთად ჩაცმული ქალი. მარჯვენაში ლარიანები უჭირავს და საბრალობელი ხმით მოთქვამს:

— შვილი მყავს ავად, კეთილო ხალხო, დამეხმარეთ.

ბევრი ჩვენგანი ჯიბეს „აწუხებს“ და ხელში ხურდა ფულს უჩხრიალებს.

— ახლა გამახსენდა, რომ იცოდე, რა ქონების პატრონია! — გაოცებული ეუბნება ერთი მგზავრი მეორეს.

— ეეჰ, ჩემო კარგო! ვეღარ გაარჩევ, ვის მართლა უჭირს და ვის არა. ზოგს მათხოვრობა ჩვევად ექცა...

ის ქალი კი ლარიანებს ყველას დასანახად ატრიალებს, იქნებ სხვებმაც გამოიმეტონო. ამასობაში მატარებელი ბოლო სადგურში ჩერდება.

ქალი კუთხეში მიდგება და აღებულ ფულს საგულდაგულოდ ითვლის...

### ვინ დაანგრია?

მთელი თავისი დღე და მოსწრება შინ ეზიდებოდა ყველაფერს, რაც „ცუდად იდო“. ახლა მოსაპარი აღარაფერია, ამიტომ გამწარებული ხშირად წამოიძახებს ხოლმე:

— აფსუს, რა ქვეყანა დაანგრიეს!

### ოქროს ვყიდი, ოქროს!

მეზობართან ერთად თავისუფლების მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავდივარ. ჩემს თანამგზავრს ოქრო ჰქვია. ჩავედით თუ არა, ქალებმა გააბეს:

— ოქროს ვიყიდით, ოქროს!

— გრამში რამდენს იძლევით? — ვეკითხები.

— ჯერ საქონელი გვიჩვენე, ოქროს გააჩნია.

— აგერ, ბატონო, ჩემი საქონელი, — ხელი ვუბიძგე მეგობარს. ჰკითხეთ, ოქრო ჰქვია!

ელგუჯა ლეზანიძე

## კოლეგები

# ჟურნალისტთა სიცოცხლის წიგნი

### რაღა შტრიხები, ეს თითქმის მატიანეა...





**ჩვენი დედაუნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ძირძველმა მეცნიერ-თანამშრომელმა, სანდომიანმა და სიკეთით სავსე ქალბატონმა იზოლდა ხაინდრავამ ამ სახელოვანი ფაკულტეტის 475-გვერდიანი მატიანე (თითქმის მატიანე) შექმნა და სხვადასხვა თაობის კოლეგები ერთ „წიგნად“ გაგვაერთიანა. თურმე რამდენი ვყოფილვართ, როგორი მესაძირკვლენი გვყოლია, რა ძვირფასი, ნანინანატრი, საყოველთაოდ აღიარებული პოეტები, პროზაიკოსები, პუბლიცისტები, მთარგმნელები; პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, საზოგადო მოღვაწენი, ჩინიანი და უჩინონი დაგვიზრდია...**

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენს „ბატონ უნივერსიტეტს“ თურმე რამდენი ნაღდი ჟურნალისტისთვის დაულოცავს გზა. იზოლდა ხაინდრავა ოდენ მშრალ ბიოგრაფიებს კი არ გვთავაზობს, არამედ ჩვენვე გვალაპარაკებს ფაკულტეტის პროფესორმასწავლებლების და კურსდამთავრებულების შესახებ. შეუძლებელია თვალი მოსწყვიტო დალი გამეზარდაშვილის, რევაზ მიშველაძის მონათხრობს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ერთ-ერთ დამაარსებელსა და პირველ ხელმძღვანელზე, დაუვიწყარ პედაგოგზე, მამასა და მეგობარზე დავით გამეზარდაშვილზე, ნარგიზა მგელაძის, სოსო ჭუმბურიძის და სხვათა გულწრფელ სტრიქონებს აღიარებულ მაესტროზე ნოდარ ტაბიძეზე, მრავლისმეტყველ მოგონებებს პაატა გუგუშვილზე, სოსო ბოცვაძეზე, ილია ნატროშვილზე, გიორგი ჯიბლაძეზე, ტარიელ კვანჭილაშვილზე...

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის მეხუთე თავი, რომელიც ჟურნალისტთა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჩანახატებს წარმოგვიჩენს.

„ეს წიგნი სიცოცხლის წიგნია და მიხარია, რომ ყველა მოგონებას თავისი სევდა ამშვენებს. რას იზამ, ცრემლი მუზასავითაა, თავისთავად არ მოდის. ამ მოკლე ბარათით მინდოდა ჩემი აღფრთოვანება გამომეხატა. მას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია, ბარათი გეკუთვნით თქვენ და არა მკითხველს“, — სწერს იზოლდა ხაინდრავას ჯანსუღ ჩარკვიანი.

წიგნის რეცენზენტი რევაზ მიშველაძე კი ჩვეული პირდაპირობით ამბობს:

„მინახავს პარიზის სორბონის უნივერსიტეტზე, მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე დაწერილი წიგნი. ამ სახელოვანი უნივერსიტეტების ცხოვრებასა და ღვაწლს ავტორები გაცილებით მცირე მოცულობის ნაშრომებში ატევენ და ქ-ნმა იზოლდა ხაინდრავამ რა დააგვირისტა ამ წიგნში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის საიუბილეოდ-მეთქი, ხომ არ გააზვიადა ძვირფასმა ქალბატონმა უნივერსიტეტის, მართალია სახელოვანი, მაგრამ შედარებით ახალი ფაკულტეტის დამსახურება-მეთქი.

საბედნიეროდ, ჩემი ეჭვი უსაფუძვლო აღმოჩნდა...“

წიგნი ქართველ ჟურნალისტთა მთელი არმიის მატიანე, მცირე ენციკლოპედიაა. ამიტომაც არ მოიწყენს მისი ერთგული მკითხველი.

დღეს დედაუნივერსიტეტში ამ წიგნის კურთხევაა. გილოცავთ, კოლეგებო!

სპარტაკ ქოზულია

## ხსოვნა

### ნანული იოსელიანი



სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 68 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა სადგურის ჰემატოლოგიური საკონსულტაციო პოლიკლინიკის I საკვალიფიკაციო კატეგორიის ექიმი ჰემატოლოგი, ღვაწლმოსილი პედიატრი

**ნანული ვასილის ასული იოსელიანი.**

წავიდა ჩვენგან ღირსეული, უსაყვარლესი ადამიანი, რომლის განვლილი გზა კეთილშობილების ნათელი მაგალითია.

გულწრფელი ცრემლებით დაგტირით ნანული. ღვთის მადლი გინათებდეს გზას შენი სამარადისო სასუფევლისკენ.



მეუღლე ალექსანდრე (ძიგო), შვილები ქეთევანი, თამაზი, თამარი თამაზაშვილები, რძლები მაია პაპიაშვილი, ანი ხვედელიძე, სიძეები რეზო ჯანყარაშვილი, ვასიკო აბულაშვილი, ლევან სპანდერაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, შვილიშვილები ზვიადი, ნატო ჯანყარაშვილები, ნუნუკა, ლექსო, ნათია, მარიამ თამაზაშვილები, ანა აბულაშვილი, შვილთაშვილები დავითი, ნინო, რეზი, ნიკოლოზი, ძმა შოთა ტოკლიკიშვილი, რძალი ციალა მჭედლიშვილი, ძმისწულები დიმა, მაია ტოკლიკიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, უკეთილშობილესი ქალბატონი

ნუნუ დიმიტრის ასული ტოკლიკიშვილი-თამაზაშვილი

პანაშვიდი 22 VI, 17 სთ. დაკრძალვა 23 VI, 14 სთ. დედოფლისწყაროში პუშკინის ქ. №45.



დედა ქეთევან სურმავა, მეუღლე ციცინო ჯოხაძე, დეიდა ირა ბახტაძე, ბიძები გიორგი, ჯამბული ბახტაძეები, ბიცოლა ნაზი ჩიქოვანი, ბიძაშვილები მზია, მარინა, მანანა, ოლია ჩხენკელები, მამიდაშვილი კაკო კოპალეიშვილი, სიმამრი ირაკლი ჯოხაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ გიორგის ძე ჩხენკელი

პანაშვიდი 23, 24 VI, 17 სთ. დაკრძალვა 25 VI, 15 სთ. მისამართი ზუგდიდის ქუჩა №3.

ქუთაისის სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერის“ სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, ინჟინერ ტექნიკური პერსონალი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საწარმოს ტექნოლოგის, მაღალი დონის სპეციალისტის, ერუდირებული, კეთილშობილი და უპრეტენზიო მეგობრის

დარეჯან ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს მზრუნველი და მოსიყვარულე ქალბატონის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს საატესტაციო კომისიის წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტი

ელგუჯა კუპრეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უცხო ენების კაბინეტის პედაგოგ რუსუდან ფარულავას შვილის

დათო კვიმსაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

## დაზუსტება

ჩვენი გაზეთის 18 ივნისის ნომერში დაბეჭდილ ავტორთა ჯგუფის წერილში „კვალი ღრმა და წარუშლელი“, რომელიც აკადემიკოს ოთარ ონიაშვილის 90 წლისთავს ეძღვნება, გაიპარა დასანანი შეცდომა. წერილის ერთ-ერთი ავტორია არა ლევან მუხაძე, არამედ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლია მუხაძე.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

## ამინდი

| 22 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 26° | 12° |
| ბათუმი | 18° | 10° |
| თელავი | 25° | 10° |
| სოხუმი | 19° | 11° |
| ქუთაისი | 19° | 14° |

## ლარის კურსი

21 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.2868 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8175 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2050 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3835 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.3984 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6205 ლ. |

## დღის კალენდარი 22 ივნისისთვის

### წლის 173-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 192 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

**ხსენება ღირსისა იოანე შავთელ-გაენათელისა (XIII).**

**ხსენება მღვდელმთავარ კირილესი, ალექსანდრიის არქიეპისკოპოსისა, თეკლე, მართა და მარიამ სპარსელებისა, ღირსი მამა იოანე შავთელისა.**

**დაიბადნენ:**

**1699 — ჟან შარდენი,** ფრანგი მხატვარი. გარდაიცვალა 1763 წელს.

**1761 — ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი,** ერეკლე II-ის ძე, კრწანისის ბრძოლის აქტიური მონაწილე. გარდაიცვალა 1814 წელს.

**1805 — ჯუზეპე მაძინი,** იტალიელი რევოლუციონერი, რისორჯიმენტოს ერთ-ერთი ბელადი. გარდაიცვალა 1872 წელს.

**1887 — გუსტავ ლუდვიგ ჰერცი,** გერმანელი ფიზიკოსი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1898 — ერიხ მარია რემარკი,** გერმანელი მწერალი. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1925 — მიხეილ ქვლივიძე,** პოეტი.

**1925 — სულიკო ჟღენტი,** კინოდრამატურგი. გარდაიცვალა 1988 წელს.

**1928 — ელგუჯა ამაშუკელი,** გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**გარდაიცვალნენ:**

**1527 — ნიკოლო მაკიაველი,** იტალიელი პოლიტიკოსი, დიპლომატი და ფილოსოფოსი.

**1990 — ილია ფრანკი,** ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

**1634 წელი** — დიდი ფერმწერი რემბრანდტი დაქორწინდა სასკიაზე.

**1671 წელი** — თურქეთმა ომი გამოუცხადა პოლონეთს.

**1910 წელი** — გაიხსნა ევროპაში პირველი ფრიდრიხსჰაფენ-დიუსელდორფის სამგზავრო საჰაერო ხაზი (დაახლოებით 350 კმ).

**1921 წელი** — ამუშავდა პირველი რადიოსადგურის ქსელი.

**1941 წელი** — გერმანიამ ომი გამოუცხადა საბჭოთა კავშირს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ზაფხულის ბუნიობა.**

**რუსეთი — ხსოვნის დღე.**

**ბელორუსი — საერთო სახალხო ხსოვნისა და მწუხარების დღე.**

**კონგო — არმიის დღე.**

**სალვადორი — მასწავლებლის დღე.**

მედია-ნიუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.